

ბიოგრი სოსიალური

**რობერტ კერ პორტერი და
მისი ცნობები
საქართველოს შესახებ**



**გამომცემლობა „ენიქსალი“
თბილისი 2015**

ინგლისელმა მხატვარმა და დიპლომატმა რობერტ კერ პორტერმა რუსეთის საიმპერატორო კარის დახმარებით 1817–1820 წ. კავკასიაზე ვაგლით აზიის ქვეყნებში იმოგზაურა. მან თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები ორ ტომად გამოსცა. ინფორმაცია საქართველოს შესახებ შესულია მოგზაურის ნაშრომის პირველ ტომში. აქ არის მნიშვნელოვანი ცნობები ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების, აღმოსავლეთ საქართველოს არაერთი ქალაქის გარეგნული იერსახის, მოსახლეობის ისტორიის და თანამედროვე ყოფის, ქართველების საცმულობის და ტრადიციების შესახებ. მოგზაურის ჩანაწერებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის, რომ ავტორი აღწერილი მოვლენების და ფაქტების თვითმხილველია. პორტერი ევრდნობა მისი წინამორბედი მოგზაურების, ასევე თანამედროვე და წინა საუკუნეების ცნობილი ისტორიკოსების და გეოგრაფების თხზულებებს, ზეპირსიტყვიერ გადმოცემებს. რობერტ კერ პორტერის ცნობები საქართველოს შესახებ ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება და ეფიქრობთ, ის დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიის გველვერებს. ინგლისელი მოგზაურის ჩანაწერები დაინტერესებს ფართო მკითხველსაც.

При содействии Российского Императорского двора английский художник и дипломат Роберт Кер Портер 1817-1820 гг. проездом через Кавказ совершил путешествие по азиатским странам. Своим впечатлениям от этого путешествия он посвятил двухтомное издание. Сведения о Грузии содержатся в первом томе издания, который отображает весьма интересную информацию о природных и географических условиях нашей страны, о внешнем облике некоторых городов восточной Грузии, об исторической и современной жизни и быте проживающего здесь населения, о традиционном одеянии грузин и их обычаях.

Особое значение запискам путешественника придает тот факт, что автор сам является непосредственным очевидцем описанных явлений и событий. В своем труде Портер ссылается как на современных ему, так и творивших в предыдущих столетиях историков, географов и путешественников, на старинные сказания и предания.

Сведения Роберта Кера Портера о Грузии впервые публикуются на грузинском языке, и, нам думается, они окажут помощь исследователям истории Грузии. По нашему мнению, записки английского путешественника заинтересуют также и широкий круг читателей.

The English artist and diplomat Robert Ker Porter, with the help of Russian Imperial Majesty, travelled to Asian countries through the Caucasus in 1817-1820. He published impressions of his journey in two volumes. Information about Georgia is included in volume 1. In the work important accounts are given about country's natural and geographic conditions, cityscape of a number of East Georgian cities, history and social life of population, their clothing and traditions. The fact, that the author is an eyewitness of described facts and events, attaches to it more importance. Porter alludes to works of his predecessor travelers, as well as famous historians and geographers. The Accounts about Georgia by Robert Ker Porter are publishing for the first time, and we believe, that it will be useful for researchers of Georgian history. Non-specialist readers will also be interested in the accounts of the English traveler.

კორექტორი: მარიკა შერაზადიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყაზიშვილი

ავტორი მადლობას უხდის გორის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ დავით ონიაშვილსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ გულიკო ბზიშვილს – წიგნის გამოცემის დაფინანსებისათვის.

© გ. სოსიაშვილი, 2015

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2015

თბილისი, 0179, 0. შავშავაძის ბაზა. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-658-8

მხატვარი, მოგზაური და დიპლომატი რობერტ კერ პორტერი

დიპლომატი, მოგზაური, მხატვარი და მწერალი რობერტ კერ პორტერი (ფსევდონიმი რეინოლდ სტეინკირკი) დაიბადა 1777 წლის 26 აპრილს დარემში, უილიამ პორტერის ხუთშვილიან ტრადიციულ ბრიტანულ ოჯახში. რობერტის მამა, უილიამი, 23 წელს ქირურგად მუშაობდა დრაგუნთა მე-6 ბატალიონში. იგი გარდაიცვალა 1779 წელს და დაკრძალულ იქნა წმ. ოსვალდში, დარემში.¹ მომავალი მხატვრის წინაპრები იყვნენ აგინკურტის ბრძოლის მონაწილე უილიამ პორტერი და როიალისტი ენდომიონ პორტერი. რობერტის დედა გახლდათ ჯეინ პორტერი (1745-1831), დარემის მკვიდრის – რობერტ ბლენკინსონის ქალიშვილი. ჯეინ პორტერი გარდაიცვალა ეშერში, სურეის საგრაფოში 86 წლის ასაკში. რობერტს ორი უფროსი ძმა ჰყავდა: უილიამ ოგილვიე პორტერი - ფლოტში ქირურგად მუშაობის შემდეგ, 40 წლის განმავლობაში ბრისტოლში ექიმის პროფესიას ემსახურებოდა, გარდაიცვალა 1850 წლის 15 აგვისტოს 67 წლის ასაკში და პოლკოვნიკი ჯონ პორტერი, რომელიც მანის კუნძულზე 1810 წელს 38 წლის ასაკში აღესრულა. რობერტს ორი დაც ჰყავდა - ჯეინ (1776-1850) და ანა-მარია (1780-1832) პორტერები.² ორივე მათგანი მწერალი იყო. რობერტმა სიყრმის წლები ედინბურგში გაატარა, სადაც დედამისი შვილებთან ერთად საცხოვრებლად 1780 წელს გადავიდა. მათი ოჯახი ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდა. პორტერებს ძირითადად არმიაში მყოფი უილიამის მეგობ-

¹ <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>; W. M. Armstrong, *The many-sided world of Sir Robert Ker Porter, The Historian*, #25, Washington, 1962, p. 36-58.

² <http://www.encyclopedia.com/article-1G2-2591307617/porter-anna-maria-17801832.html>.

რები ეხმარებოდნენ. ედინბურგში ცხოვრებისას რობერტი გაიტაცა ცნობილი მხატვრის - ფლორა მაკდონალდის ნამუშევრებმა. მან გადაწყვიტა, სამხედრო მხატვარი გამხდარიყო. 1790 წელს დედამ მომავალი შემოქმედი გამოიწვია ბრიტანულ მხატვართან, ლონდონის სამეფო სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტთან – ბენჯამინ უესტთან წაიყვანა, რომელიც იმდენად აღფრთოვანდა რობერტის ნამუშევრებით, რომ მას სამეფო აკადემიის სომერსეტის სკოლაში რეკომენდაცია გაუწია. რობერტი 13 წლის ასაკში სამეფო აკადემიის სტუდენტი გახდა.³

პორტერის განსაკუთრებული მხატვრული ნიჭი მალე კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა. 1792 წელს მან მხატ-

³ S. C. Hutchison, *The Royal Academy Schools, 1768–1830*, Walpole Society, #38, 1960-62; porteris cxovrevisa da moRvaweobis Sesaxeb ix: Seccombe T., Robert Ker Porter, *Dictionary of National Biography*, London, 1896, XLVI, P. 190-192; Armstrong W.M. *The Many-sided World of Robert Ker Porter, The Historian*, 25. Pt. 1. Washington, 1962. P. 36-58; Dupouy W. *Sir Robert Ker Porter's Caracas Diary. 1825-1842*, Caracas, 1969; *Barnett R.D. Sir Robert Ker Porter — Regency Artist and Treveller Iran*, 1972. Vol. 10; Ancketil M.D.I. *The Silver Palette*, Lantern, 1978, July, P.72-70; Ренне Е. П. Роберт Кер Портер в России, *Труды Государственного Эрмитажа* 25, 1985, С.105-109; Васильева Н. Е., *Альбом Р. Кер Портера с рисунками древнейших памятников скульптуры и архитектуры, Эрмитажные чтения 1986-1994 гг. памяти В.Г. Луконина*, СПб., 1995. С. 246-247; Vasileva N.E., *About The History of Sir Robert Ker Porter's Album with his sketches of Achaemenid and Sassanian monuments*, *Achaeologische Mitteilungen aus Iran*. Berlin, 1994. Bd 27. S. 339-348; Renne E. *British artists in Russia in the first half of the nineteenth century*, *British art treasures from Russian Imperial collections in the Hermitage*, Ed. by B. Allen and L. Dukelskaya. New Haven & London, 1996. P. 104-115; Ренне Е.П., *Британские художники в России в первой половине XIX века, С берегов Темзы — на берега Невы. Шедевры из собрания британского искусства в Эрмитаже*, Под ред. Б. Аллена и Л. Дукельской, СПб., 1997. С.104-115; Губер К.П., *Три картины для Главного Адмиралтейства, Россия-Англия. Страницы диалога. Краткое содержание докладов V Царскосельской научной конференции*, СПб., 1999. С. 113-116;

ვართა საზოგადოებისაგან ბიბლიური პერსონაჟის – „ანდორელი ჯადოქრის“ შესრულებისათვის ვერცხლის პალიტრა მიიღო. რობერტ კერ პორტერის ნამუშევრები იმ დროისათვის ცნობილი იყო ფსევდონიმით – რეინოლდ სტეინკირკის სახელით. თექვსმეტი წლის ასაკში მან შო-დერიჩის ეკლესიის საკურთხეველი მოხატა, 1794 წელს კი რომის კათოლიკური ეკლესიის სამლოცველოსთვის ქალაქ პორტსმუტში იესო ქრისტეს მიერ ქარიშხლის დაცხრომის სცენა შეასრულა. 1799 წელს პორტერმა კემბრიჯში წმინდა იოანეს კოლეჯში შექმნა ნახატი „უდაბნოში მლოცველი წმინდა იოანე“. 1799 წელს რობერტ კერ პორტერი დებთან – ჯეინთან და ანა-მარიასთან ერთად ლონდონში ცხოვრობდა. მათი ოჯახი ლეიკერსკვერზე მდებარე საცხოვრებელში დაბინავდა, სადაც ადრე სამეფო სამხატვრო აკადემიის დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი ჯოშუა რენოლდსი სახლობდა. ამ სახლში თავს იყრიდნენ ცნობილი მხატვრები და ლიტერატორები, მათ შორის: ისტორიული ფერმწერი და პორტრეტისტი ბენუამინ ვესტი, მოქანდაკე და მხატვარი ჯონ ფლიქსმანი, ჯ. რეინოლდსის მოწაფე, – ხელოვნებათმცოდნე ჯოზეფ ნორკოტი, პოლიტიკური პამფლეტების ცნობილი ავტორი და უპოვართა საკვირაო სკოლის დამფუძნებელი ჰანა მური.⁴

რობერტი მხატვართა კლუბის წევრი გახდა. ამ დროისათვის ის უკვე აღიარებული შემოქმედი იყო. ნიჭიერ ხელოვანს ასეთი წარმატება სამხედრო ისტორიისადმი მიძღვნილმა ბატალურმა კომპოზიციებმა მოუტანა. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის ბოლოს ინგლისში ფართოდ გავრცელდა მხატვარ რობერტ ბარკერის ფართო ფორმატის ფერწერული პანორამები. მან პირველად

⁴ Ренне Е., Художник сэра Роберт Кер Портрер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

1780 წელს წარმოადგინა „ედინბურგის პანორამა“, რომელიც 360⁰-იანი სრული მიმოხილვის საშუალებას იძლეოდა. მას შემდეგ სპრინგ-გარდენზე მდებარე დიდ დარბაზში და სტრენდზე მდებარე „ლისეუმის“ თეატრის შენობაში მუდმივად ეწყობოდა ამ მიმართულების ფერმწერთა ნამუშევრების ჩვენებები. ამ მიმართულების მიმდევრები ფართო ფორმატში ასახავდნენ ქალაქის ხედებს, საზღვაო ბატალიებს, ასევე - სხვადასხვა სამხედრო ბრძოლათა პანორამებს. 1800 წლის 17 აპრილიდან 1801 წლის 10 იანვრამდე „ლისეუმში“ გამოფენილმა რობერტ კერ პორტერის პირველმა პანორამამ „იერიში სერინგ-პატამაზე“ საზოგადოებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ნამუშევარი 200 კვ. მეტრს შეადგენდა და წარმოდგენილი იყო ადამიანის სიმაღლის 700-მდე ფიგურის სცენური ნახატი. ბენჯამენ ვესტმა მას „სამყაროს საოცრება“ უწოდა. პანორამის ჩვენებამ ლონდონში კერ პორტერს შემოსავალი გაუჩინა. ჩვენებას არანაკლები წარმატება ჰქონდა: დუბლინში, ლივერპულში, პლიმუტში, გლაზგოში და სხვ. 1792-1832 წლებში პორტერმა არაერთი ნახატი შეასრულა, მათ შორის: „ლოდის ბრძოლა“ (1803), „1799 სუვოროვის მიერ ფრანგების დამარცხება ეშმაკის ხიდთან“ (1805), „აგინკურტის ბრძოლა“, „ალექსანდრიის ბრძოლა“ და სხვ.⁵

პორტერმა 1803 წელს რამდენიმე ნახატი შეასრულა თომას მურის „ანაკრეონისათვის“. ეს ნახატები ჯონ ვენდრამინიმ ნაპოლეონის საწინააღმდეგოდ მიმართული გრაფიურების სერიისათვის გამოიყენა. 1793-1798 წლების ისტორიული მოვლენების ყველაზე ტრაგიკული ეპიზო-

⁵ Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>; R. Lister, British Romantic art, 1973, #8-9; B. Comment, The panorama, 1999.

დები – მასობრივი მკვლევლობები იაფესა და ტულონში საფუძვლად დაედო პორტერის ოთხ ნახატს.⁶

1803 წელს პორტერმა ვესტმინსტერის მილიციაში დაიწყო სამსახური. 1805 წელს მან კაპიტნის ჩინი მიიღო, თუმცა ოჯახის დაჟინებული თხოვნის გამო მხატვარს უარის თქმა მოუხდა რეგულარული ჯარისკაცის პროფესიაზე, რაც პორტერს ყველაზე მეტად იზიდავდა. ამ დროისათვის პორტერის, როგორც მხატვრის სახელი, პოპულარული იყო არა მარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1805 წელს პორტერმა რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I მიწვევა მიიღო. საიმპერატორო კარის შეკვეთით მას უნდა შეესრულებინა ისტორიული ნახატები სანკტ-პეტერბურგში არსებული საადმირალო უწყების დარბაზისათვის. როგორც ჩანს, საიმპერატორო კარისათვის ცნობილი იყო მისი ბატალური პანორამები, სადაც სუფოროვისა და ბაგრატიონის ხელმძღვანელობით რუსული არმიის სიმამაცე და გამირობა იყო გამოსახული. მხატვარი ალექსანდრე I მიწვევას დათანხმდა და ის დიდ ბრიტანეთში მყოფი რუსეთის ელჩის – ს. რ. ვორონცოვის რეკომენდაციით პეტერბურგში გაემგზავრა. ვორონცოვის ერთ-ერთი სარეკომენდაციო წერილი, რომელიც პორტერს

⁶ გამოთქმულია მოსაზრება, რომ პორტერის ნახატების მიხედვით შექმნილ გრაფიურებს შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ გოიას გრაფიკულ სერიალზე „ომის საშინელებანი“. მოსაზრება პორტერის შემოქმედების მკვლევარს, პროფ. პომპრიის ეკუთვნის. Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

პორტერის მიერ შესრულებული ნახატების უდიდესი ნაწილი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში, ისინი საჩუქრად პორტერის დამ, ჯეინმა გადასცა. იხ. R. D. Barnett, Sir Robert Ker Porter, *British Museum Society Bulletin*, 7, June, 1971.

ეხებოდა, რუსეთის საზღვაო მინისტრს – პ. ვ. ჩიხაგოვს (1767-1849) გადაეცა. იგი რუსულ პოლიტიკურ წრეებში ცნობილი იყო, როგორც ბრიტანული კულტურის დიდი მოტრფიალე. ჩიხაგოვს უშუალო ურთიერთობა ჰქონდა საადმირალო კოლეგიის საქმეებთან და მან დახმარება გაუწია ბრიტანელ მხატვარს. სწორედ ჩიხაგოვმა გადაიტანა ერმიტაჟიდან საადმირალო უწყებაში (საადმირალო შენობის მთავარი დარბაზის რეკონსტრუქციის შემდეგ) პორტერის ნახატები. პორტერი რუსეთიდან სამშობლოში წერილებს გზავნიდა. ერთ-ერთ წერილში იგი აღნიშნავდა: „იმპერატორმა დამდო პატივი და მოიწონა ჩემი ნახატები, რომლებიც ახლად მშენებარე საადმირალო უწყების შენობას დაამშვენებენ. რა წუთს ამ დიდებული დარბაზის რეკონსტრუქცია დამთავრდება, ისინი დიდი საბჭოს დარბაზში განთავსდებიან, მისი პროექტი ჩინებულია, და რადგან კედლებზე უნდა აისახოს ჩემი შრომის შედეგები, მე შევეცდები შეგიქმნათ გარკვეული წარმოდგენა იმის თაობაზე, რის წარმოჩენასაც ემსახურება ჩემი ნამუშევრები.“⁷

სანკტ-პეტერბურგში ყოფნისას მან რუსი დიდგვაროვნის, თეოდორ შერბატოვის ქალიშვილის – მარიას (1780-1827) კეთილგანწყობა დაიმსახურა. მალე მათ შორის რომანი გაიბა, თუმცა წყვილის ურთიერთობას იმ დროის პოლიტიკურმა მოვლენებმა ხელი შეუშალა. პორტერს სასწრაფოდ მოუხდა რუსეთის დატოვება. რუსეთის მეფემ ნაპოლეონ ბონაპარტთან 1807 წელს ხელი მოაწერა ტილზიტის ხელშეკრულებას, რამაც რუსეთი დიდი ბრიტანეთის მოწინააღმდეგე საფრანგეთთან დააკავშირა. რობერტ კერ პორტერმა 1807 წელს ფინეთის გავლით რუსეთი დატოვა და შვედეთში გადავიდა. იგი ვარაუდობდა,

⁷ Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

რომ შვედეთში გარკვეული დროით შეეცუნებოდა და შემდეგ ისევ რუსეთში დაბრუნდებოდა. ბრიტანელმა მხატვარმა ლოდინში ოთხი წელი დაჰყო. მან საკუთარ თავზე გადაიტანა ომის საშინელება. 1808 წელს რობერტ კერ პორტერი ჯონ მურთან ერთად ესპანეთში გაემგზავრა. იგი პირინეის ნახევარკუნძულზე იბრძოდა. მხატვარმა მოგზაურობისას არაერთი ჩანახატი შეასრულა. ნაპოლეონის ფლოტის წინააღმდეგ გამოჩენილი მამაცობისათვის კორუნის და ვილმეირის გმირს 1806 წელს შვედეთის მეფემ გუსტავ IV რაინდის წოდება უბოძა. პორტერი გუსტავ IV გაწეული სამსახურისათვის შვედეთისა და წმინდა იოაკიმ ვურტემბერგელის ორდენებითაც დაჯილდოვდა. 1809 წელს პორტერმა ოთხ ტომად გამოსცა „მოგზაურობისას შესრულებული ნამუშევრები რუსეთსა და შვედეთში 1805-1808 წლებში“. Travelling sketches in Russia and Sweden, During the years 1805, 1806, 1807, 1808, Philadelphia: Published by Hopkins and Earle, 1809.

მოგზაურობის შთაბეჭდილებები პორტერის მიერ არის ილუსტრირებული. 1810 წელს მან გამოაქვეყნა „წერილები პორტუგალიიდან და ესპანეთიდან.“ Letters from Portugal and Spain, written during the march of the British troops under Sir John Moore ... By an officer, London, Longman, Hurst, Rees, and Orme, 1809. 1811 წელს რუსეთის იმპერატორის მიწვევით პორტერი კვლავ რუსეთში ჩავიდა. 1812 წლის 7 თებერვალს იგი დაქორწინდა თეოდორ შერბატოვის ქალიშვილზე. ქორწინების შემდეგ მისი მეუღლე მარია შერბატოვი ლედი პორტერად იწერებოდა.⁸

რუსეთში ნაპოლეონის არმიის შეჭრამ ხელი შეუშალა ახლადდაქორწინებულთა ინგლისში გამგზავრებას. მხოლოდ 1813-1814 წლებში მოახერხა ლედი პორტერმა მეუღლის სამშობლოს მონახულება. რობერტ პორტერს

⁸ Архив кн. Воронцова, М., 1882, Т. 23, С. 91, №41.

ბრიტანეთის მთავრობამ რუსეთში მცხოვრები თანამემამულეების სიცოცხლისა და უსაფრთხოების მეურვის რწმუნება უბოძა. ამან საშუალება მისცა მხატვარს, 1812 წლის ისეთი ისტორიული მოვლენების მოწმე გამხდარიყო, როგორიცაა: ნაპოლეონის არმიის რუსეთის ტერიტორიაზე შეჭრა, ბოროდინოს ბრძოლა, მოსკოვის გადაწვა და შემდეგ ნაპოლეონის განდევნა მოსკოვიდან. ამ მოვლენების შესახებ პორტერმა შექმნა წიგნი „მოთხრობა 1812 წელს რუსეთში ჩატარებული კამპანიის შესახებ“. წიგნს თან ერთვოდა კუტუზოვის გრავირებული პორტრეტი და ორი რუკა. აღნიშნული წიგნი ფრანგულ და გერმანულ ენებზეც ითარგმნა და რამდენჯერმე გამოიცა. რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება ამ წიგნის ინგლისური ვარიანტის ერთი ეგზემპლარი, რომელიც ოქროთი მოვარაყებულ ყდაშია ჩასმული. ეს წიგნი იმპერატორ ალექსანდრე I ავტორმა გადასცა. 1813 წელს იმპერატორი და მისი მეუღლე მარია ფეოდორის ასული პორტერის ქალიშვილის – მარიას ნათლიები გახდნენ. ამის აღსანიშნავად იმპერატორმა პატარა პორტერს ბრილიანტის ყელსაბამი აჩუქა.⁹

1813 წელს რობერტ კერ პორტერს ინგლისის მეფემ გეორგ IV თავის რეზიდენციაში, კარლტონ-ჰაუსში რაინდის წოდება უბოძა. რუსულ არისტოკრატიულ ოჯახთან დანათესავების შემდეგ პორტერი მიღებულ იქნა რუსეთის უმაღლეს სამხედრო და დიპლომატიურ წრეებში. მხატვარი და დიპლომატი კარგად ერკვეოდა 1812-1813 წლების

⁹ გადმოცემის თანახმად, ა. ს. პუშკინმა მარია რობერტის ასულს უძღვნა თავისი ლექსი „ესვამ მერის სადღეგრძელოს“. მარია მეგობრობდა პუშკინთან დაახლოებულ დებთან – მ. თ. და ნ. ო. სმირნოვებთან. Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებში, რამაც ასახვა კპოვა მისი შთაბეჭდილებების კრებულში¹⁰.

1813 წელს პორტერი სამშობლოდან რუსეთში გაემგზავრა. 1817 წელს მან დაგეგმა მოგზაურობა სანკტ-პეტერბურგიდან თეირანისაკენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1815 წელს ბრიტანეთის კონსული სპარსეთში სერგორ უოზლი თეირანიდან ლონდონში ბრუნდებოდა, ინგლისელმა დიპლომატმა გავლით მოინახულა სანკტ-პეტერბურგი. იგი შეხვდა ა. ოლენინს – საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს და სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს. უოზლი ა. ოლენინს ოქროს ბეჭედზე სპარსულად ამოტვიფრული დაზიანებული წარწერის ამოკითხვაში უნდა დახმარებოდა. სანკტ-პეტერბურგში ყოფნისას ბრიტანელმა კონსულმა რობერტ კერ პორტერიც მოინახულა. კონსულმა ინგლისელ მხატვარს მეტად საინტერესო ცნობები მიაწოდა სპარსეთის შესახებ, რამაც პორტერს ირანში მოგზაურობის სურვილი კიდევ უფრო გაუძაფრა. გარდა ამისა, მათ იმსჯელეს სპარსეთში პორტერის დიპლომატიურ სამსახურში მოწყობის შესახებ, თუმცა პორტერმა სპარსეთში დიპლომატიური თანამდებობა ვერ მიიღო. პორტერის რუსეთში მოღვაწეობის მეკლევარი ე. რენე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პორტერს სპარსეთის მონახულების იდეა შესაძლოა გასჩენოდა 1815-1816 წლებში პეტერბურგში სპარსეთის დელეგაციის ყოფნის დროს. 1815 წელს საიმპერატორო კარზე ჩასულ სპარსულ დელეგაციას მირზა აბდულ ჰასან-ხანი ხელმძღვანელობდა, რომელსაც რუსეთის ხელისუფლე-

¹⁰A narrative of the campaign in Russia, during the year 1812, By Sir Robert Ker Porter, Baltimore, E. J. Coale, 1814; ix. agree, A narrative of the campaign in Russia, during the year 1812, By Sir Robert Ker Porter. To which is added, A narrative of the events which is added, A narrative of the events which followed Buonaparte's campaign in Russia, to the period of his dethronement, By William Dunlap, Hartford, Andrus and Starr, 1815.

ბასთან სასაზღვრო საკითხები უნდა გაერკვია. ამ მოსაზრებასთან ერთად ე. რენე აღნიშნავს: „ვინ იცის, იქნებ ის (რობერტ კერ პორტერი — გ.ს.) ბრიტანული მთავრობის დავალებით მოქმედებდა, მთავრობისა, რომელსაც გააჩნდა მუდმივი ინტერესი სპარსეთისა და ინდოეთის მისადგომებთან მდებარე ოლქებში არსებული ვითარების გარკვევისა.“¹¹

ჩვენი აზრით, პორტერმა ბრიტანეთის მთავრობის საიდუმლო დავალებით იმოგზაურა სპარსეთში. თუ რა დავალება ჰქონდა, ამაზე ქვემოთ შევჩერდებით. სპარსეთის დელეგაციის ხელმძღვანელთან პორტერმა მოლაპარაკება გამართა. აბდულა ჰასან-ხანმა მისი მოგზაურობის შესახებ ირანში წერილებიც გაგზავნა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ, როდესაც თავრიზში პორტერი სპარსეთის შაჰის მემკვიდრეს შეხვდა, აბას მირზა მის შესახებ კარგად იყო ინფორმირებული. ამასთან დაკავშირებით პორტერი წერდა: „მიმიღო (აბას მირზამ — გ.ს.) როგორც ძველი მეგობარი, რადგან იგი კარგად მიცნობდა მისთვის მიწოდებული მოხსენებითა და პატაკებით.“¹² პორტერის ექსპედიციის განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი ალექსი ნიკოლოზის ძე ოლენინმა (1764-1843). სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ პორტერის სპარსეთში მოგზაურობას სამეცნიერო ექსპედიციის სტატუსი მიენიჭა. ირანში ყოფნისას, როდესაც პორტერი სპარსულ ძეგლებზე მუშაობდა, იგი ა. ნ. ოლენინის მითითებს ასრულებდა.¹³

¹¹ Ренне Е., Художник сэра Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

¹² Ibidem.

¹³ Васильева Н.Е., Роль А.Н. Оленина в определении научной цели экспедиции Р. Кер Портера в Иран, Центральная Азия от Ахеменидов до Тимуридов: археология, история, этнология, культура, СПб., 2005, с. 400.

ექსპედიციის დასრულების შემდეგ ა. ნ. ოლენინმა რუსეთის სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრს სპეციალური ანგარიში წარუდგინა და პორტერის სამეცნიერო ექსპედიციას ძალზე მაღალი შეფასება მისცა. ანგარიშში ა. ნ. ოლენინი აღნიშნავდა: „თქვენი ბრწინვალებისათვის ცნობილი ინგლისელი კერ პორტერის რთული, გაბედული და მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის მეტად სასარგებლო წამოწყება – მოგზაურობა სამხრეთ სპარსეთში მეტად წარმატებით იქნა ჩატარებული“.14 ირანში წასვლამდე რობერტ კერ პორტერმა მოიძია სპარსული ენის სახელმძღვანელო, სპარსულ-ინგლისური ლექსიკონი. ამ საქმეში მას დახმარებას უწევდა თავისი და ჯეინი.15

ირანში ჩასულ პორტერს მასპინძლობას უწევდა აბდულა ჰასან-ხანი. მოგზაური წერდა: „ჩემი ძველი ნაცნობი აბდულა ჰასან-ხანი, რომელიც მისი ელჩობის დროს პეტერბურგში გავიცანი, თავაზიან მასპინძლობას მიწევდა მისი მბრძანებლის დედაქალაქში.“16

ირანში განხორციელებული მოგზაურობის ამსახველი დღიურები პორტერმა ორ ნაწილად გამოსცა. მოგზაურობის დროს მან 200-ზე მეტი ნახატი შეასრულა. მისი 87 ნახატის მიხედვით ი. კლარკმა გრაფიურები შექმნა და პორტერის წიგნს დაურთო. სპარსეთში მოგზაურობის დროს შესრულებული ნახატების დიდი ნაწილი პორტერის გარდაცვალების შემდეგ მისმა დამ – ჯეინმა ბრიტანეთის მუზეუმს გადასცა. საისტორიო მეცნიერებისათვის განსაკუთრებით ფასეულია ის ნამუშევრები, რომლებზეც უძველესი ძეგლები და არქეოლოგიური ნაშთებია აღბეჭდილი. დაგეგმილი ერთი წლის ნაცვლად სპარსეთში

¹⁴ Там же, с. 401.

¹⁵ Там же, с. 400.

¹⁶ Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

პორტერმა სამი წელი დაჰყო. თეირანში 1819 წელს პორტერს აუდიენცია ჰქონდა ირანის შაჰთან – ფათჰ ალისთან. ინგლისელმა მხატვარმა შაჰის პორტრეტი შეასრულა და ირანის ხელისუფლისგან ჯილდოდ ლომისა და მზის ორდენი მიიღო.¹⁷ რა იყო ბრიტანელი მოგზაურის, მხატვრის და დიპლომატის სპარსეთში მოგზაურობის ნამდვილი მიზანი? ერთი შეხედვით, უძველესი ცივილიზაციის და კულტურის მქონე ქვეყანაში მოგზაურობით მხატვრის დაინტერესებაში უჩვეულო არაფერია, თუმცა, როგორც მისი ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა,¹⁸ იგი სპარსეთში ბრიტანეთის მთავრობის საიდუმლო დავალებას ასრულებდა.

XVIII საუკუნის ბოლოს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკისრებოდათ საერთაშორისო პოლიტიკაში. აღნიშნულ რეგიონში ევროპის სახელმწიფოები თავიანთი გავლენის მოპოვებას ცდილობდნენ და მათ, ცხადია, აღმოსავლურ პოლიტიკაში დასაყრდენი ესაჭიროებოდათ. ამ მხრივ ირანს განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ის ინდოეთს, ასევე შუა აზიის და კავკა-

¹⁷ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავრიზში ბრიტანელი მოგზაური ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II ვაჟს, ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვდა, რომლის შესახებაც მან თავის თხზულებაში გარკვეული ჩანაწერი გააკეთა, იხ. სოსიაშვილი გ., რობერტ კერ პორტერის ცნობები ალექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, კრებ. ქუთაისური საუბრე-ბი, ქუთაისი, 2013, გვ. 45.

¹⁸ აღნიშნულ წერილს 1994 წელს ოქსფორდში, ბოდლეანის ბიბლიოთეკაში მიაკვლიეს. წერილის ადრესატი უცნობია, თუმცა შინაარსიდან ჩანს, რომ იგი ინგლისის უმაღლესი პოლიტიკური წრის ერთ-ერთი წარმომადგენლის სახელზეა დაწერილი. Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>; Notes by Sir Robert Ker Porter, Bodleian Library, Modern papers Library, Ms. Eng. Hist. P. 32-34.

სიის ქვეყნებს ემეზობლებოდა და სწორედ ამიტომ ირანი ევროპული სახელმწიფოების, კერძოდ, ინგლისის ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს განსაკუთრებით რუსეთ-ირანის დაპირისპირების შემდეგ გახდა თვალშისაცემი.¹⁹ სწორედ ეს პერიოდი შეარჩია რობერტ კერ პორტერმა სპარსეთში სამოგზაუროდ. მხატვრის და მოგზაურის სახით შენიღბულ დიპლომატს ინგლისის უმაღლესი პოლიტიკური წრეებისათვის ირანში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ საიდუმლო ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა და დიდი ბრიტანეთის მესვეურთათვის შემდგომი მოქმედებებისათვის გარკვეული რეკომენდაციებიც მიეცა. პორტერის საიდუმლო მისიის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მხატვრის მიერ უცნობი ადრესატისადმი გაგზავნილი ზემოთ ნახსენები წერილი. წერილში პორტერი საუბრობს ირანში და, ზოგადად, აზიის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მისი გადმოცემით რუსეთის გააქტიურება კასპიისპირეთში სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ბრიტანეთის ინტერესებს. ინგლისის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებს პორტერი გადაამწვევტი მოქმედებისკენ მოუწოდებდა: „იმის გამო, რომ მე გარკვეულწილად გამაჩნია არაჩვეულებრივი კავშირ-ურთიერთობები მეზობელ, დიდ ჩრდილო იმპერიასთან, მეძლეოდა განსაკუთრებული უპირატესობა მრავალი დიპლომატიური აგენტის წინაშე. ამ უპირატესობის წყალობით მომეცა შესაძლებლობა მსოფლიოს ამ ნაწილში რუსეთის იმპერიის შეხედულებების შესახებ სათანადო ინფორმაციის მოპოვებისა. ზუსტად ეს ვითარება მაიძულებ-

¹⁹ ეს დაპირისპირება რუსეთ-ირანის 1804-13 და 1826-28 წწ. ომებში გადაიზარდა. ცნობილია ის ფაქტიც, რომ 1829 წელს თეირანში რუსეთის დიპლომატიური მისიაც დაარბიეს, რასაც ირანში რუსეთის ელჩის – ა. ს. გრიბოედოვის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ბს გითხრათ შემდეგი: ჩემი შეტყობინება უნდა განიხილე-
ბოდეს, როგორც უმკაცრესად საიდუმლო, თუნდაც იმ
წყაროების პატივსაცემად, საიდანაც ის მომდინარეობს.
მოკლედ რომ ვთქვათ, სპარსეთში ჩემი ყოფნისას მე ყო-
ველდღიურად, თუ უფრო ხშირად არა, ვიყავი მოწმე იმი-
ნა, თუ როგორი გავლენით სარგებლობს რუსეთი სპარ-
სეთის სახელმწიფოზე, თუ როგორ არის ის გაბატონებუ-
ლი აქ, მის საზღვრებზე. უეჭველია, რომ ამჟამად ამ
მდგომარეობით სარგებლობა რუსეთს დაუყოვნებლივ აძ-
ლევს ყველა წინააღმდეგობის იოლად გადალახვის შე-
საძლებლობას და მას შეუძლია მცირე სისხლის, ან სა-
ერთოდ სისხლის დაღვრის გარეშე გახდეს სპარსეთის
მდიდარი ჩრდილო პროვინციების ბატონ-პატრონი. ერთი
ასეთი მიზეზი (რომლისთვისაც თუ ეს აუცილებელი იქ-
ნება, საბაბი ყოველთვის მოინახება) და დასრულდება
ჩვენი გავლენა სპარსეთში... მაგრამ როდესაც ჩვენ განვი-
ხილავთ არსებით მდგომარეობას სპარსეთში და მის საზ-
ღვრებზე სიტუაციის განმკარგულებელი დიდი იმპერიის
ბუნებრივ ზრახვებს, წარმოუდგენლად არ მიგვაჩნია, რომ
შეიძლება სულ მალე ყოფილი მძლავრი ქვეყანა ამჟამინ-
დელის (რუსეთის - გ. ს) სრულ განკარგულებაში აღ-
მოჩნდეს. მაშინ (ეს ჩემი პირადი აზრია) შეიძლება იყოს
და ალბათ ასე იქნება კიდევ ჩვენი აღმოსავლური იმპე-
რიის შერყევის მცდელობა. ამჟამინდელი შაჰის სიკვდი-
ლის შემთხვევაში **ქართულ არმიას საგსებით შესწევს**
უნარი, სპარსეთის ტახტზე აიყვანოს ნებისმიერი ის, ვის-
ზეც ზემოდან (რუსეთის საიმპერატორო კარზეა საუბარი
- გ. ს) მიუთითებენ.²⁰

პორტერი ძალზე საინტერესო ანალიზს აკეთებდა
რუსეთის მიერ აზიურ სახელმწიფოებში განხორციელე-

²⁰ Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России,
<http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

ბული პოლიტიკის შესახებ. ბრიტანელი დიპლომატის ინფორმაციით, კავკასიის ქვეყნებს, კერძოდ, საქართველოს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა: „თურქმენეთი ცდილობს დაიყოლიოს ზოგიერთი მეზობელი ბელადი, რომ მათ გარანტირებულად უზრუნველყონ რუსეთის ქარავნების უსაფრთხო გადაადგილება დიდი და პატარა ბუხარიდან, ან მეზობლად მდებარე სათათრეთიდან და ქაშმირიდან და სხვ. სამხრეთ სანაპიროზე ახალ დასახლებებს გააჩნიათ დიდი მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, თუ რისი მომტანნი იქნებიან კომერციის დარგში, ისინი წარმოადგენენ სამხედრო გეგმის ნაწილს, რაც თავის მხრივ მომავალ დაპყრობებთან არის დაკავშირებული. ამ დასახლებებიდან საქონელი გემებით იგზავნება მტკვრისა და ალაზნის შესართავამდე, სადამდეც მიზაშენწონილია ნაოსნობა და ხელსაყრელია დატვირთვა-გადმოტვირთვის თვალსაზრისით. საქონელი აქედან კარგად გამართული გზების გავლით მტკვრის სანაპიროს გასწვრივ ჩადის ტიფლისამდე, შემდეგ გზა ქუთაისის გავლით კვეთს იმერეთს და მიემართება რიონის შესართავთან, შავ ზღვაზე მდებარე ახალ, აყვავებულ პორტამდე (მოგზაური, სავაზრაუდოდ, უნდა გულისხმობდეს რედუტ-კალეს, იმავე ყულევის ნავსადგურს – გ. ს.). აქ საქონელი იტვირთება გემებზე და იგზავნება ოდესაში, ტაგანროგში და სხვ. მე უკვე ვახსენე, რომ ქართული საზღვარი რუსეთის მხრიდან რამდენიმე ადგილას ასუსტებს სპარსეთს.“²¹

მიუხედავად იმისა, რომ პორტერი დამაჯერებლად აყალიბებს თავის შეხედულებებს, იგი გარკვეული სიფრთხილით წერს: „მე არ ვიღებ ჩემს თავზე სპარსეთში ჩვენი ოფიციალური წრეების წარმომადგენლების უფლებების დაჩემებას, მე ვხელმძღვანელობ მხოლოდ ჩემი პირა-

²¹ Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

დი დაკვირვებებით, რომელთა მიხედვით კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავესვა შემდეგს – მიუხედავად იმისა, რომ შაჰს და მის შვილს არ გააჩნიათ უშუალო კავშირი ინგლისის ინტერესებთან, ჩვენმა სახელმწიფომ ამჟამად არ უნდა უგულებელყოს შაჰი და მისი შვილი, როგორც პოლიტიკური ძალა, არ უნდა დაკარგოს ისინი პოლიტიკური ხედვის არეალიდან, რამეთუ არიან სხვები, ვინც და ინტერესებულნი არიან საწინააღმდეგო პოლიტიკის განხორციელებაში.“²²

წერილის შინაარსის გარდა, პორტერის საიდუმლო აგენტობას ადასტურებს მხატვრის მიერ სამშობლოში გაგზავნილი ტექსტის ბოლო წინადადება, იგი თხოვნით მიმართავს ადრესატს, რათა მან არ გაამხილოს წერილის ავტორის ვინაობა: „თუ ეს ინფორმაცია იქნება თქვენთვის სასარგებლო, მე კვლავ და კვლავ გაფიცებთ – თქვენს გულის სიღრმეში შეინახოთ ჩემი, როგორც თქვენი ინფორმატორის ვინაობა“.²³

პეტერბურგში დაბრუნებულმა პორტერმა იმპერატორ ალექსანდრე I საჩუქრად გადასცა აღმოსავლეთში შეგროვილი რამდენიმე ნივთი, ასევე თავისი წიგნის ფრანგულენოვანი გამოცემა. საჯარო ბიბლიოთეკას მოგზაურმა ალბომი უსახსოვრა, სადაც ძველი სპარსული ძეგლების ჩანახატები იყო. როგორც აღვნიშნეთ, პორტერის ექსპედიციამ ოლენინისაგან ძალზე მაღალი შეფასება მიიღო. პორტერი იმდენად შენიღბულად მოქმედებდა, რომ ალექსანდრე პირველს მის საქმიანობაში ეჭვი არ შეუტანია. რუსეთის ხელისუფალმა ბრიტანელ მხატვარს 2,5 ათასი მანეთის ღირებულების ოქროს ბეჭედი

²² Там же.

²³ Там же.

აჩუქა, რომელზეც მისი ინიციალები იყო ამოტვიფრული.²⁴

პორტერი ერთხანს ბრიტანეთში გაემგზავრა და მოკლესნიანი ვიზიტის შემდეგ კელავ რუსეთში დაბრუნდა. თუმცა, აქაც მცირე ხანი დაჰყო. 1825 წელს მხატვარი ვენესუელაში დიდი ბრიტანეთის კონსულად დაინიშნა. სამხრეთ ამერიკაში იგი ოჯახის გარეშე წავიდა.²⁵ ლედი პორტერმა მეუღლესთან ერთად წასვლა ვერ მოახერხა, იგი შვილის აღზრდით იყო დაკავებული. ვენესუელადან პორტერი თავის ოჯახის წევრებს წერილებს უგზავნიდა და რუსეთში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა.²⁶

ლედი პორტერის სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ჩასვლას მისმა ავადმყოფობამაც შეუშალა ხელი. იგი მუცლის ტიფით იყო დაავადებული, რაც 1826 წლის 27 სექტემბერს მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა. პორტერის შვილის აღზრდა მისმა ნათესავებმა და მეგობრებმა იტვირთეს. დიპლომატიური სამსახურის დროს რობერტი 15 წელს კარაკასში ცხოვრობდა. ესპანეთის გავლენისაგან გათავისუფლებული ქვეყნიდან ინგლისელი დიპლომატი მოხსენებებს გზავნიდა ბრიტანეთში საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივნის – ჯორჯ კანინგის სახელზე.²⁷

პორტერი სამხრეთ ამერიკაშიც მალე გახდა პოპულარული. ამ პერიოდის განმავლობაში ის, დიპლომატიური საქმიანობის გარდა, ხატვასაც განაგრძობდა. ვენესუელაში ყოფნის დროს მან რამდენიმე ნახატი შეასრულა, მათ შორის: „ქრისტეს მიერ ბავშვის განკურნება“, „აი, ადამიანი“, „წმ. იოანე აპოკალიფსის წერის დროს“, ასევე

²⁴ Там же.

²⁵ Марина М. В старом, радушном дворянском гнезде на Арбате, Русская старина, 1909, Т. CXL, С. 608.

²⁶ Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

²⁷ Там же; R. K. Porter, Caracas diary, 1825-1842, Caracas, 1966.

სამხრეთ ამერიკის კონტინენტის გმირის და კოლუმბიის რესპუბლიკის დამაარსებლის, სიმონ ბოლივარის რამდენიმე პორტრეტი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1836 წელს ვენესუელას კონგრესთან არსებულმა ჰერალდიკის კომისიამ პორტერის კონსულტაციით სახელმწიფო გერბი შექმნა.

კონსულად ყოფნის პერიოდში პორტერი აქტიურად ცდილობდა, რომ აღმოეფხვრა რელიგიური დაპირისპირება ადგილობრივ კათოლიკეებს და ვენესუელაში მცხოვრებ არაკათოლიკე უცხოელებს შორის. პორტერმა საკუთარი ხარჯით, ასევე ბრიტანეთის მთავრობის თანადაფინანსებით კარაკასში პროტესტანტული სასაფლაო დააარსა. იმ მრავალმხრივი დახმარების გამო, რაც მან პროტესტანტი მორწმუნეებისთვის ვენესუელაში გააკეთა, 1832 წელს პორტერი ჰანოვერის ორდენის რაინდად დასახელდა. პორტერი დიდ ბრიტანეთში 1841 წელს დაბრუნდა. მხატვრის ქალიშვილი რუსეთის დედაქალაქში ცხოვრობდა. იგი 1837 წელს გათხოვდა პიერ დე კიკინზე, რომელიც საიმპერატორო გვარდიის კაპიტანი იყო. მძასთან – დოქტორ უილიამ ოგილვიე პორტერთან, ბრისტოლში მცირეხნიანი ვიზიტის შემდეგ, რობერტ პორტერი დასთან – ჯეინთან ერთად სანკტ-პეტერბურგში თავისი ქალიშვილის და სიძის მოსანახულებლად გაემგზავრა. აქ მათ გარკვეული პერიოდი დაყვეს. 1842 წლის 3 მაისს მან თავის ძმას სანკტ-პეტერბურგიდან წერილი გაუგზავნა. წერილის მიხედვით მხატვარი ინგლისში გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ ნიკოლოზ I-თან გამოსამშვიდობებელი სადამოს შემდეგ ეტლში მან გონება დაკარგა და მეორე დღეს გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. რობერტ კერ პორტერი დაკრძალულია სანკტ-პეტერბურგში, უცხოელეების სასაფლაოზე. მის სამშობლოში, ბრისტოლის მონასტერში პორტერების ოჯახის უკვდავსაყოფად განთავსე-

ბულია მარმარილოს დაფა, სადაც მხატვრისა და მოგზაურის სახელიც არის ამოტვიფრული.

ზოგიერთი შენიშვნა პორტერის საქართველოში ჩანაწერების შესახებ

როგორც აღეწინეთ, რობერტ პორტერმა 1817-1820 წ.წ. კავკასიაზე გავლით აზიის ქვეყნებში იმოგზაურა.²⁸ პორტერმა ექსპედიციაში სამი წელი დაყო და მოგზაურობისას გაკეთებული ჩანაწერები ორ წიგნად გამოსცა.²⁹ ეს არის მოგზაურის და მხატვრის უზარმაზარი ნაშრომი, რომელშიც დაცულია ძალზე საინტერესო ინფორმაცია აზიის უძველესი ქვეყნების, აქ მცხოვრები ხალხების ისტორიული და თანამედროვე ყოფის შესახებ. მოგზაური დაწერილებით გადმოგვცემს კავკასიასა და აზიაში მცხოვრები მოსახლეობის ისტორიას, მათ წეს-ჩვეულებებს. ჩანაწერებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ავტორი აღწერილი მოვლენების და ფაქტების თვითმხილველია. პორტერი ეყრდნობა მისი წინამორბედი მოგზაურების, ასევე თანამედროვე და წინა საუკუნეების ცნობილი ისტორიკოსების და გეოგრაფების

²⁸ R. D. Barnett, Sir Robert Ker Porter - Regency artist and traveller, Iran-2, 1972, pp. 19-24, plates 1-12; N. E. Vasilieva, About the history of Sir Robert Ker Porter's album with his sketches of Achaemenid and Sassanian monuments, Archaeologische Mitteilungen a 1994, pp. 339-48, plates 104-11.

²⁹ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821; Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. II, London, 1822.

თხზულებებს, ზეპირსიტყვიერ გადმოცემებს. მის ჩანაწერებს კიდევ უფრო მეტ ღირებულებას სძენს პორტერის მიერ შესრულებული ჩანახატები, რაც აღწერილი ადგილების ვიზუალურ წარმოდგენასაც გვიქმნის. მოგზაურობის დროს მან შეასრულა არაერთი მნიშვნელოვანი ჩანახატი, სადაც გამოსახა აღწერილი ქვეყნების რელიეფი, უძველესი ძეგლები, ისტორიული პერსონაჟები, თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწეები. აზიის უძველეს ქალაქებში ყოფნისას გადაწერა ღურსმული წარწერები, გადმოხატა ძველი ტაძრების კედლებზე არსებული რელიეფური გამოსახულებანი.

რობერტ კერ პორტერმა ირანში საქართველოზე გავლით იმოგზაურა. ინგლისელი მხატვრის ცნობები საქართველოს შესახებ თხზულების პირველ ტომშია. მოგზაური, როგორც მისი ჩანაწერებიდან ჩანს, საქართველოში დარიალის ხეობით შემოსულა. კავკასიონის მთებს მოგზაურზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია.³⁰ მოგზაური რუსეთის ევროპული და აზიური ნაწილის საზღვრად მდ. თერგს მიიჩნევდა: „მდინარე თერგი რუსეთის ევროპულ ნაწილს ჰყოფს აზიური ნაწილისგან. ეს მდინარე კავკასიონის მთებიდან მოედინება. მისი სათავე კობის ახლოსაა.“³¹ პორტერის მიერ რუსეთის აზიური ნაწილის ხსენება შემთხვევითი არ არის. XIX საუკუნეში საქართველოში ნამყოფი სხვა მოგზაურებიც იყენებენ ტერმინს „აზიური რუსეთი“. ამ მხრივ შეგვიძლია დავასახელოთ ავსტრიელი მოგზაური, ქალბატონი იდა პფაიფერი. იგი კავკასიაში არსებულ ქვეყნებს (სომხეთი, საქარ-

³⁰ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821, p. 44.

³¹ Ibidem, p. 50.

თველო) აზიურ რუსეთში მოიაზრებს.³² მოგზაურის ცნობით, თერგის ხეობა ერთგვარ ჭიშკარს წარმოადგენდა. სწორედ ამ ჭიშკრით ურთიერთობდა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან. ამ ადგილს ძველად „პორტა კაუკასია“ ერქვა. გადმოცემით სწორედ აქედან შევიდა საქართველოში ეკატერინე II ლაშქარი ტოტლებენის მეთაურობით, რომელმაც გზის ერთი მონაკვეთიც დააგო. ეკატერინე II სურდა, გზათბილისამდე გაეყვანა, თუმცა არ დასცალდა. როგორც პორტერი აღნიშნავს, იმპერატორის სურვილი მისმა მემკვიდრემ შეასრულა. საიმპერატორო კარის დავალებით პავლე ციციანოვის მეთაურობით შესანიშნავი გზა გაიყვანეს.³³ რობერტ პორტერი საქართველოში დარიალის ხეობით შემოვიდა და მცირე ხნით ყაზბეგში შეყოვნდა, სადაც ადგილობრივ წარჩინებული გვარის წარმომადგენელს – ყაზბეგს შეხვდა, აღწერა აქ მცხოვრები მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება და სამეურნეო საქმიანობა. პორტერის გარდაცვლილი ყაზბეგის (იგი სახელს არ აკონკრეტებს, თუმცა უნდა გულისხმობდეს გენერალ-მაიორ გაბრიელ ყაზბეგს, იხ. გვ. 140) სახლში დარჩენილა, სადაც ყაზბეგის ქვრივი ცხოვრობდა. მოგზაურის ინფორმაციით, ყაზბეგი რუსების სამსახურში ყოფილა. თავისი გვარი მას მთის სახელწოდებისაგან მიუღია, რაც შემდეგ სოფელსაც დაერქვა.³⁴ ჩრდილოეთ კავკასიის საქართველოსთან დამაკავშირებელი გზების კეთილმოწყობას პორტერი რუსების დამსახურებად მიიჩნევს. მისი გადმოცემით, რუსებმა სამიმოსვლო გზები მოაწესრიგეს, ააშე-

³² იხ. იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 21.

³³ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821, p. 67.

³⁴ Ibidem, p. 76.

ნეს ფოსტის შენობები და სამხედრო სადგურები. მოგზაურის შეფასებით, უსაფრთხო მგზავრობა სწორედ რუსეების დამსახურება იყო. ეტლებით გადასატანი ტვირთებისათვის დაწესებული იყო გადასახადები 20-დან 25 რუბლამდე, რომელსაც ძირითადად ვაჭრები იხდიდნენ. ამ თანხაში შედიოდა პასპორტის ღირებულება. უცხოელებისათვის მგზავრობა უფასო იყო.³⁵ რუსული ხელისუფლება გზებზე მძარცველი ოსებისაგან თავდაცვის მიზნით საგუშაგოებს აგებდა. გზის იმ მონაკვეთზე, სადაც რობერტ კერ პორტერი მოძრაობდა, ოსები მიმავალ მგზავრებს უსაფრდებოდნენ და ძარცვავდნენ. ოსების გახშირებულ თავდასმებზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელმაც საქართველოში მეთვრამეტე საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა. ოსები თავს ესხმოდნენ არა მარტო მგზავრებს, არამედ რუსულ რაზმებსაც.³⁶ ბრიტანელი დიპლომატი და მოგზაური მცირე ხნით ანანურში გაჩერდა, სადაც ერთი ღამე გაათია. მისი გადმოცემით, ანანური ქუშლის ციხის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა. ის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იყო,

³⁵ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821, p. 81; გენერალ ერმოლოვს, იმ მიზეზით, რომ საქართველოს სამხედრო გზა ზამთრის პერიოდში ზვავებით ხშირად იხერგებოდა, ახალი გზის გაყვანა სურდა თბილისიდან გორის, ცხინვალის და ონის გავლით კავკასიონის თხემზე, მაგრამ ამ იდეის განხორციელებას ჩეჩნეთის აჯანყებამ შეუშალა ხელი. იხ. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 236. სხვა ცნობით, ერმოლოვს განუზრახავს, გორიდან გაეყვანა გზები რუსეთისაკენ და თბილისიდან მმართველობის აპარატიც ამ ქალაქში გადაეტანა. მამისთვალისშვილი ე. გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბ., 1994, გვ. 12.

³⁶ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 157-158.

რომელსაც ერთ დროს სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. თუმცა, იმ დროს ანანურში მხოლოდ ქოხები იდგა. ანანურში შემორჩენილი იყო შესანიშნავი ქრისტიანული ეკლესია ნატიფი ჩუქურთმებით, რომლის შესასვლელში ქართული წარწერები იყო. მოგზაურის ცნობით, მტრების შემოსევის დროს სამეფო ოჯახი მანდილოსნებს ანანურში ხიზნავდა, აქვე მალავდნენ სამეფო განძს. პორტერის ინფორმაციით, ანანურში გარკვეული პერიოდით ინახებოდა ქართველთა განსაკუთრებული რელიკვია-წმინდა ნინოს ჯვარი.³⁷

ანანურში რომ არასახარბიელო საცხოვრებელი პირობები იყო, ამას შოტლანდიელი მოგზაური – რობერტ ლაიელიც ადასტურებს. (შოტლანდიელმა ბოტანიკოსმა და მოგზაურმა საქართველოში რობერტ კერ პორტერის შემდეგ იმოგზაურა). მისი გადმოცემით, ანანურში ძნელად იშოვებოდა საჭმელი და მოგზაურს ღამის გათევამაც მძიმე პირობებში მოუწია.³⁸ ანანურიდან რობერტ კერ პორტერი დუშეთში ჩავიდა. მისი გადმოცემით დუშეთი მთის ძირას გაშენებული ღამაში ქალაქი იყო, სადაც

³⁷ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821, p. 81.

³⁸ Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia by Robert Lyall, vol. I, London, 1825, p. 67. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ წმინდა ნინოს ჯვრის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის XIX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში ნამყოფი შოტლანდიელი მოგზაური რობერტ ლაიელი, რომელმაც ძალზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ჩვენი ქვეყნის შესახებ. მისი გადმოცემით, საქართველოს მეფეებმა წმ. ნინოს ჯვარი მცხეთის ტაძარს (სავარაუდოდ, იგი სვეტიცხოველს უნდა გულისხმობდეს) გადასცეს. იხ. Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia by Robert LYALL, vol. I, London, 1825, p. 63; გ. გელაშვილი, ინგლისელი მოგზაური რობერტ ლაიელი თბილისის შესახებ, კრებ: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2014, გვ. 319.

შემორჩენილიყო ძველი სასახლის და ციხესიმაგრეთა ნაშთები. პორტერის ცნობით, დუშეთი ერთ დროს ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა. იქაური მოსახლეობა დაკავებული იყო მიწათმოქმედებით. დუშეთის მიწა, პორტერის ცნობით, ძალზე ნაყოფიერი იყო, თუმცა მოსახლეობა მოუხერხებელი რკინის გუთნით ამუშავებდა ნაკვეთებს, უზარმაზარი სახნისი თოთხმეტ ხარს უნდა გაეწია. მოსახლეობა გამწვევ ძაღად კამეჩსაც იყენებდა.³⁹ დუშეთის შესახებ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის შოტლანდიელი მოგზაური რობერტ ლაიელი. მისი ცნობით დუშეთი ქალაქად იწოდება, მაგრამ იგი ამ სტატუსს არ იმსახურებდა. მისი ქუჩები, ლაიელის ცნობით, ბახჩისარაის ქუჩებს წააგავდა, სადაც დაბალი, პატარა მაღაზიები იყო განლაგებული და სხვადასხვა სახის საქონელი იყიდებოდა. ლაიელის ცნობით დუშეთში ყურადღებას იქცევდა ეკლესია და გარშემო არსებული კოშკებიანი სოფლები.⁴⁰ რობერტ კერ პორტერი თავის თხზულებაში საუბრობს იმდროინდელი საქართველოს ჩამორჩენის და პოლიტიკური დაქსაქსულობის მიზეზებზე. მისი აზრით, ქვეყანა მძიმე მდგომარეობამდე არა მარტო გამუდმებულმა შემოსევებმა, არამედ გაუთავებელმა შიდა არეულობამ მიიყვანა. ოდესღაც აყვავებული, განვითარებული სამეფო ჩამორჩენილ, დამცირებულ ოლქად გადაიქცა. მტრების გამუდმებულმა შემოსევებმა მოსახლეობის რაოდენობა ძალზე შეამცირა. ქვეყანა, პორტერის შეფასებით, დაღუპა მმართველი წრეების დაუოკებელმა ამბიციებმა და იმას, რომ აქ მცხოვრები ხალხი სოციალურად და პოლიტიკურად განვითარებულიყო, ქვე

³⁹ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821, p. 100.

⁴⁰ Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia by Robert lyall, vol. I, London, 1825, p. 72.

ყნის იმდროინდელი მმართველების აზრით, წლები დასტკირდებოდა.⁴¹ რობერტ კერ პორტერი თავის თხზულებაში ღიდ აღგილს უთმობს მცხეთის აღწერას. ბრიტანელ მხატვარს საქართველოს ძველ სატახტო ქალაქში არაერთი ისტორიული ძეგლი მოუნახულებია. მოგზაურის ცნობით, მცხეთა ძველი საქართველოს დედაქალაქი იყო. იბერთა მეფეების სატახტო, რომელიც ორი მდინარის შესართავთან მდებარეობდა, ანტიკურ ხანაში მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა, თუმცა პორტერის იქ ყოფნის დროს ის უკვე გადატაკებული სოფელი იყო. ამის მიუხედავად, ძველი ღიდების ნაშთი მრავლად იყო შემორჩენილი. ღამე მოგზაურს ციხესიმაგრის შიგნით სვეტიცხოველთან არსებულ მღვდლის სენაკში გაუთენებია.⁴² პორტერს მოძღვრის დახმარებით ქრისტიანული სიწმინდეებიც უნახავს. სვეტიცხოველში მეგზურობას მას მღვდელი უწევდა, რომელსაც მოგზაურისთვის არაერთი რელიკვია უჩვენებია. რელიკვიათა შორის პორტერს უნახავს ქრისტეს პერანგი, რომელიც ღაცული ყოფილა საკურთხევის შიგნით და ის ყველა მოგზაურის ინტერესს იწვევდა. პორტერს სხვა სიწმინდეები, მათ შორის წმ. ელისას სამოსის ნაწილი არ უნახავს, რადგან, როგორც თვითონ გაღმოგვცემს, არქიმანდრიტი, რომელიც ამ სიწმინდეებზე იყო პასუხისმგებელი, მცხეთაში არ ყოფილა.⁴³

*მოგზაურის ცნობა იმის შესახებ, რომ მან ქრისტეს პერანგი (კვართი) ნახა, სიმართლეს არ უნდა შეესაბამებო-

⁴¹ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, p. 102.

⁴² Ibidem, p. 103.

⁴³ Ibidem, p. 105.

* ქრისტიანთა ამ უღიდესი სიწმინდის ისტორიის შესახებ იხ. ე. მამისთვალიშვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003.

დეს.⁴⁴ მცხეთიდან რობერტ კერ პორტერმა გზა თბილისი-საკენ გააგრძელა, ქალაქის შესასვლელთან სპეციალურ საკონტროლო შენობასთან მოგზაურმა და მისმა მხლებლებმა კარანტინი გაიარეს, ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტები წარადგინეს და მათ მხოლოდ ამის შემდეგ დართეს ნება, რომ ქალაქში შესულიყვნენ.⁴⁵ როგორც ჩანს, იმ დროისათვის თბილისში ეპიდემია მძვინვარებდა და შემოწმების პროცედურა დედაქალაქში შემსვლელ ყველა მოგზავრს უნდა გაეწყო. პორტერის გარდა ამ ფაქტს სხვა მოგზაურებიც ადასტურებენ. ავსტრიელი მოგზაურის, იდა პფაიფერის ცნობით, რუსეთის „სახლ-ვარზე“ გადასვლის დროს იმ შემთხვევაში, თუ ქოლერა ან შავი ჭირი იყო გავრცელებული, კარანტინს აწესებდნენ.⁴⁶ გერმანელი მოგზაურის, ედუარდ აიხვალდის ინფორმაციით, საქართველოს ორი მხრიდან ემუქრებოდა შავი ჭირის გავრცელების საშიშროება - კავკასიონის მხრიდან და აზიის მხრიდან. აიხვალდის ცნობით მეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლებში ქვეყანაში რამდენიმე ადგილზე იყო შექმნილი კარანტინი, მათ შორის: ანანურთან, ბაღდადთან, სურამში, ასევე ქარელთან ახლოს. თბილისის შემოგარენში სამი კარანტინი ყოფილა.⁴⁷ თბილისში ჩასული რობერტ კერ პორტერი მთავარმართებელ ერმოლოვს შეხვდა და მას წერილები გადასცა. იგი ამ წერილების შესახებ დაწვრილებით არ საუბრობს. სავარაუდოდ, მას საიმპერატორო კარიდან გამოტანებული წერილები უნდა გადაეცა. პორტერმა ახლოს გაიცნო კავკა-

⁴⁴ Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the years 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, p. 102.

⁴⁵ Ibidem, p. 114.

⁴⁶ იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 23.

⁴⁷ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 91.

ეს ის საგუშაგოა, რომელიც აკონტროლებს ხეობას და თბილისისკენ მიმავალ გზას. კაშოური აშენებულია ძველი ქართული ციხესიმაგრის ნანგრევებზე. მაღალ კოშკს და დანგრეულ კედლებს შემორჩათ ნაშთი ძველი დიდების, თუმცა ისინი მტვრით არიან დღეს დაფარულნი. ეს ძველი დროიდან შემორჩენილი ნაშთები რომანტიულ პეიზაჟს ქმნიან. 7 ოქტომბერს, დილის 6 სთ-ზე, ესკორტისა და კაზაკების თანხლებით, მივატოვეთ კაშოური. ჩვენ გადავედით პატარა, მაგრამ კარგად აშენებულ ხიდზე და აღმოვჩნდით მდინარე არაგვის მეორე ნაპირზე. იმ ადგილას არაგვი მხოლოდ 20-30 ფუტის სიგანისაა. ხეობა ორივე მხრიდან გარშემორტყმულია მდიდარი ტყით. გავიარეთ პატარა და კოხტა სოფლები. იქ მიწა ყველგან დამუშავებული იყო. ადგილობრივ მოსახლეობას მოჰყავს ფეტვი, ქერი, ხახვი და თუთუნი. მათ ისეთი დიდი რაოდენობის ცხვარი და თხა ჰყავთ, რომ მთები ხშირად

დაფარულია ცხვრის ფარებით. მეცხვარეებმა მშვიდობიანი და კარგად ნაკვები ადამიანების შთაბეჭდილება დატოვეს. ყველა მათგანს ქამარზე განმასხვავებელი ნიშნები ეკიდა, მხრებზე კი თოფი ჰქონდა ჩამოკიდული. ჩვენ მეცხვარეებს შეგხვდით მაშინ, როდესაც მთავარ გზაზე გასასვლელს ვეძებდით. მათი აღჭურვილობა საბრძოლო აღკაზმულობას აღემატებოდა. გარდა ზემოაღნიშნულისა, მათ ჰქონდათ ხმლები, რაღაც მოგრეხილი საგანი. თითოეული მათგანის ქამართან დამაგრებული იყო ტყავით დაფარული მრგვალი, პატარა ფარი, რომელიც უცნაურად იყო ღურსმებით მოჭედილი. ამ მეცხვარეების აღჭურვილობა ძალიან წააგავს ინგლისელი მეფის პენრი V³³ მეისრეების აღჭურვილობას. როგორც მითხრეს, ეს მთიელი მეცხვარეები ძალიან არიან დაოსტატებულები ხმლის ხმარებაში. ისინი მუსულმანი და კერპთაყვანისმცემელი ოსი ტომების წარმომადგენლები იყვნენ.

მთელ დღეს ჩვენ მივეყვებოდით მდინარე არაგვს, ვიდრე არ შევჩერდით გამაგრებულ სადარაჯო პუნქტთან – ფასანაურთან, სადაც შეგვიცვალეს ცხენები და ესკორტი. სადამოს ცეცხლი ჩანდა სხვადასხვა მანძილზე. მე მივედი კოცონთან, სადაც კაზაკების ჯგუფთან ერთად იყვნენ ქართველები და მთის სხვა ხალხიც. გზა გავაგრძელეთ, სუფთა ჰაერის და საინტერესო ბუნების გარემოცვაში მივაღწიეთ ანანურამდე. ეს ის ადგილია, რომელიც თითოეულმა მგზავრმა, რომელიც საქართველოში მიემგზავრება კავკასიის გავლით, აუცილებლად უნდა გაიაროს. აქ უნდა მიიღონ ნებართვა მოგზაურობის გაგრძელებაზე. ქოხის ჭუჭყმა და სიღარიბემ მიმახვედრა, თუ რა პირობებში უნდა გამეთენებინა ღამე. იატაკი შიშველ მიწას წარმოადგენდა, რომელიც ნესტიანი და ჯანმრთელობისთვის საზიანო იყო. ფანჯრებს არც მინა ჰქონდა და არც დარბაზები. მყუდრო კუთხე, რომელიც

ცეცხლის დასანთებად იყო განკუთვნილი, დანიშნულები-სამებრ ვერ გამოიყენებოდა. იატაკიდან მრავლად ჩანდა ამოსული სოკოები. ჩემი მოთხოვნა უკეთეს ადგილზე გადასვლის შესახებ ამო აღმოჩნდა. ვერსად მივაგენი პასუხისმგებელ პირს, რათა მას გაეცა განკარგულება. სადარაჯოს კომენდანტი ორი მილის დაშორებით ცხოვრობდა. რადგან გვიანი იყო მასთან ვინმეს გაგზავნა, იძულებული გავხდი, ღამე იმ ქოხში გამეთენებინა. მთელი ღამის განმავლობაში არ დამიძინია. „იატაკიდან“ ვაძრობდი სოკოებს, დავანთე ცეცხლი, ამოვავეს ღია ფანჯრები, რადგან გარედან სიცივე შემოდოდა. ჩემი მომსახურე პირები უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ - მათ ღამე სარდაფში გაატარეს.

დილით გავეგზავნე ჯარისკაცი ოფიცერთან და ექიმთან თხოვნით, რომ მათ უკეთესი თავშესაფარი მოეძებნათ ჩვენთვის. ორივე პიროვნება მალევე მოვიდა და დაიწყო დარწმუნება, რომ მე საუკეთესო პირობებში ვიმყოფებოდი. მათ ავუხსენი, რომ მჭირდებოდა მოწყობილი ოთახი და არა მიწური, სადაც მთელ ღამეს ვიჯექი, რადგან ძველ, დამპალ ხის საწოლზე წამოწოლა შეუძლებელი იყო. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მას გამოიყენებდა, ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე ელოდა. ჩემი სიტყვების შემდეგ მხოლოდ ქაღალდი მოგვაწოდეს ფანჯრიდან.

ღამის გათენება ეტლში გადავწყვიტე. მართალია, იქ არ თბილოდა, მაგრამ ის, ყოველ შემთხვევაში, სუფთა და მშრალი იყო. მაგრამ ეტლშიც ვერ დავიძინე, როდესაც წამთვლიმა, გაისმა შემაწუხებელი, განგმირავი ყვირილი, მოთქმა და წკმუტუნი, რომელიც მთელი ღამე ისმოდა. დილით, როდესაც ვიკითხე ხმაურის მიზეზი, მითხრეს, რომ ხმებს ტყის ბინადარი მგლები და ტურები გამოსცემდნენ. როდესაც მათ ძალიან შიათ, ისინი ხშირად შემოდნიან ანანურში. ანანური მდებარეობს კუმლის

ციხის მთის სამხრეთ-დასავლეთის ერთ-ერთი განშტოების ძირში. ის უძველესი დროიდანაა ცნობილი. ოდესღაც აქ ბევრი მოსახლე ცხოვრობდა და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი ქალაქი იყო. დღეისათვის აქ მხოლოდ უბადრუკი, სავალალო ქოხებია შემორჩენილი, ზოგიერთი მათგანი მაღაზიაა. ჩემი პირველი შტაბუკდილება ანანურის შესახებ იყო შემდეგი: ქალაქი, თავის წარსულთან შედარებით უფერული და გაღატაკებულია. მაგრამ მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ მოსახლეობა ცივილიზებული იყო. ხალხს ერთმანეთთან უფრო მეტი ურთიერთობა ჰქონდა, ვიდრე იმ ადგილებში, რომლებიც მე მოვინახულე აზიაში. ჩემი ნათქვამის საუკეთესო არგუმენტია ის ფაქტი, რომ ამ ხალხში გამოირიცხებოდა ვინმეს დაყაჩაღება და ძარცვა-გლეჯა. ანანურში შემორჩა ნატიფი ეკლესიის ნანგრევები, რომელიც ციხესიმაგრის კედლებში დგას. ოდესღაც ამაყად აღმართული კედლები ინგრევა. ამ ეკლესიის არქიტექტურული დეკორი მიუთითებს მისი მშენებლის დიდ ოსტატობასა და ჩატარებულ შრომატევად სამუშაოზე. ჯვრები და ქვაში ამოტვიფრული რელიეფები, რომლებიც სიყვარულითა და დიდი რუდუნებით არის შესრულებული, ეკლესიის გარე ფასადს ამშვენებს. ნიშის ფორმის კარს შევყავართ ეკლესიის შიგნით. კარის ორივე მხარეს განლაგებულია ქართული წარწერები. ეს ეკლესია თავისი მიმდებარე ტერიტორიით იყო საქართველოს ძლიერი სიმაგრე, თავშესაფარი და წმინდა ადგილი. როდესაც თბილისი განიცდიდა ირანელებისა და თურქების თავდასხმებს, ანანური იყო საიმედო ადგილი, სადაც საქართველოს სამეფო ოჯახის ქალებს გახიზნავდნენ ხოლმე, აქვე ინახავდნენ მეფის ყველაზე მნიშვნელოვან ქონებას. აქ ერთხანს დაცული იყო ქართველების ცნობილი რელიკვია – წმინდა ნინოს ჯვარი. ეს უძველესი რელიკვია შექმნილი იყო ამ წმინდანის მიერ. მან ვაზის ნასხლავი რქისგან ჯვარი გამართა და

საკუთარი გრძელი თმის წანაჭერით შეკრა. დღეს ეს ჯვარი ინახება თბილისის დიდებულ სიონის ეკლესიაში.

ანანურში კარანტინი უნდა გაგვევლო. იქ ჩასვლის მესამე დღეს ჩვენს მსახურებს და ბარგს ჩაუტარდა დეზინფექცია. მივიღეთ ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მქონდა რა თავისუფალი დრო, გადავწყვიტე დამეთვალყურებინა ქალაქი და ციხესიმაგრე. 11 ოქტომბერს, დილის 6 საათზე დავიწყე მთაზე ასვლა. ნახევარი გზის გავლის შემდეგ გამოჩნდა ღუშეთის მთლიანი ხედი. ღუშეთი იყო ჩვენი მომდევნო გაჩერების ადგილი.

ღუშეთი განლაგებულია მთის ძირში, ხეობაში, სადაც მიწა დამუშავებულია. ხეობაში ბევრი სოფელია. ადგილობრივი მოსახლეობა დაკავებულია მიწათმოქმედებით, მაგრამ ის მოწყობილობა, რომლითაც ისინი მიწას ხნავენ, საკმაოდ მოუხერხებელია, რადგან მძიმეა. ის რკინით არის დაფარული, მოუხერხებელი სიგრძისაა და ხენის დროს ორი ფუტი სიგანის კვალს ტოვებს, ხოლო სიგრძეში ისეთივე ღრმაა, როგორც ინგლისში მესერისთვის ამოთხრილი მიწა. აქ ნიადაგი ძალიან მდიდარია, ის შავია და მძიმე. ისეთი მძიმეა, რომ 14 ხარი, რომელიც წყვილად იყო შებმული, ძლივს მიათრევდა გუთანს, აქ ძალიან ბევრი კამეჩია. ისინი ხშირად გამოიყენებიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს დროს, ისევე როგორც გზების დაგებისას. კამეჩებს ზურგით გადააქვთ ტვირთი და მათ ურემში შესაბამელად იყენებენ. ურმის თვლები დამზადებულია მასიური ხისგან და გარეგნულად ძალიან ჰგვანან ბორბლებს, რომლებსაც პორტუგალიაში იყენებენ. ერთგან თვალი მოგკარი კამეჩის ნახირს, რომელიც გზის გასწვრივ ბალახს ძოვდა. ზოგიერთი მათგანი უზარმაზარი ზომის იყო, იმაზე გაცილებით დიდი, ვიდრე ინგლისში მინახავს. გლეხები ემზადებოდნენ ხორბლისა და ქერის დასათესად, რომელიც აქ ფექვთან ერთად ერთადერთი მარცვლეულია. აქაურ გლეხებს ის დიდი

გულმოდგინებით მოჰყავთ. ქერისა და ფეტვისგან ორნაირ სასმელს ამზადებენ. ერთი სპირტიანი სასმელია, მეორე უფრო მჟავა და რბილი დასალევი. საქართველოს ამ კუთხეში ღვინო არ მოჰყავთ. აქ არც ვენახი არ შემიმჩნევიდა.

დუშეთი ფართოდ გაშლილი ღამაში ქალაქია. მასში ბევრია სასახლისა და ციხესიმაგრეების შემორჩენილი ნანგრევები. ეს ქალაქი ერთ დროს ქართველი მეფეების საზაფხულო რეზიდენცია იყო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის განსაკუთრებით საყვარელი ადგილი იყო საქართველოს უკანასკნელი განთქმული მეფის ერეკლესთვის. უკანასკნელი იმიტომ ვუწოდებ, რომ მის ვაჟს არ დასცაღდა მეფობა, ის მალე გარდაიცვალა.

მაინტერესებდა რა, თუ როგორი იყო აზიელი მეფის სასახლე, ვთხოვე დუშეთის საგუშაგოს ოფიცერს ჩემთვის მეგზურობის გაწევა. მე ვიპოვე დიდი ოთხკუთხედი ფორმის ფართობი, რომელიც გარშემორტყმული იყო მაღალი ქვის კედლებით. ოთხივე კუთხეში კოშკები იდგა. ამ ტერიტორიის ერთ მხარეს დგას სამეფო შენობა, რომელიც დაბალი, მოკრძალებული ერთსართულიანი სახლია. ის ყოველგვარ ორნამენტს მოკლებულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საშენი ტყის მასალისგან მოპირკეთებულ ჭერზე არსებულ რომბის ფორმის ჩუქურთმებს. კედლებს არავითარი მოხატულობა არ აქვთ. შენობის ბრტყელი სახურავი ქმნის ტერასას, საიდანაც მხოლოდ მთების მწვერვალები ჩანს. ჩემი აზრით, ეს საკმაოდ პატარა ხედია საზაფხულო რეზიდენციისთვის. ოთხკუთხედი ფორმის ეზოში პატარა ხის ეკლესიაა, რომელიც სავადალო მდგომარეობაშია. როგორც მითხრეს, ამ ყოფილი სასახლის სამხედრო შტაბად გადაქცევაა განზრახული, ეზო კი ბარაკებისა და საჯინბოებისთვის გამოიყენება, რადგან საქართველოს ამ მნიშვნელოვან ადგილზე ახალი ბატალიონი ჩამოდის.

საქართველოს ამ კუთხეს ახლა კარტელანის³⁴ პროვინცია ეწოდება. ის ძველი იბერიის ტერიტორიაზე მდებარეობს. პტოლემეი ასე აღწერდა იბერიის ადგილმდებარეობას: ჩრდილოეთით მას ესაზღვრება სარმატიის მთები, სამხრეთიდან სომხეთის ნაწილი, აღმოსავლეთიდან – ალბანეთი და დასავლეთით – კოლხეთი, ანუ დღევანდელი იმერეთი. პტოლემეის ჩამოთვლილი აქვს ბევრი ქალაქი და სოფელი. მაგრამ სტრაბონი, რომელმაც იმოგზაურა ამ ქვეყანაში, უფრო დეტალურად და მტკიცედ წერს, რომ ქვეყანა იყო აყვავებული და უფრო მეტიც, იბერიის სამეფო ფუფუნებით იყო აღსავსე. ეს ყველაფერი სამწუხარო და არა სანუგეშო კონტრასტია ახლა! ოდესღაც დამოუკიდებელი, განვითარებული სამეფო დღეს ჩამოქვეითებული და დამცირებული პროვინციაა. გამუდმებულმა ომებმა და მტრული მეზობელი ქვეყნების მრავალგზის შემოსევებმა შეამცირა ამ პატარა სამეფოს გულადი მოსახლეობის რაოდენობა. ოდესღაც აყვავებული ქვეყანა დღეს დამონებული და დაზარალებულია. უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი მომაკვდინებელი დარტყმა ქვეყანას მიაყენეს იმათ, ვინც ამბიციით იყო აღსავსე. სხვა ქვეყნების მსგავსად, რომლებმაც იგივე ეროვნული თვითმკვლელობა ჩაიდინეს, იბერიელებსაც მოუხდათ ყოველგვარი სურვილის გარეშე ამ მდგომარეობაში ყოფნა. ლეკებს თვითონ ასწავლეს თავისი ქვეყნის გასასვლელი. ქვეყანაში არსებული არეულობების დროს იბერიის მმართველი პირების შუღლმა ხელი შეუწყო მეომარ ბარბაროსებს, მოეწყოთ ბრძოლები. ამ პროვინციის დღევანდელი მესაკუთრეების აზრით, აქ მაცხოვრებელ ხალხს წლები დასჭირდება პოლიტიკური ცხოვრებისა და სოციალური ყოფის ახლებურად მოწყობის თვალსაზრისით.

როდესაც გამოვედით დუშეთიდან, რამდენიმე ვერსტზე გადაიშალა ხეობა, რომელიც კვეთდა არცთუ ისე კარგად დამუშავებულ მიწებს მთის ფერდობებზე. გზის

დასავლეთით მდებარეობს ტბა³⁵ და, როგორც მითხრეს, მასში სხვადასხვა სახეობის თევზია. ერთი ჯიშის თევზი ძალიან დიდი ზომისაა. გარეგნულად ის ორაგულს ჰგავს, მაგრამ მომზადების შემდეგ ის ყვითელი ფერის ნაცვლად თეთრი ხდება. ორი საათის მგზავრობის შემდეგ გავყევით მდინარე არაგვის ნაპირს. მოპირდაპირე მხარეს დიდი ველი იყო, სადაც ერთადერთი გასასვლელი ჩანდა მთებისკენ, საიდანაც ღეკებს კვლავ შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი თავდასხმები ქვეყანაში. იმ ადგილს რუსი გუშაგი და რამდენიმე ქვეითი ჯარისკაცი -კაზაკი სდარაჯობს.

შებინდებისას მივაღწიეთ საგუშაგოს - არტისკალას³⁶, სადაც ცხენები შეგვიცვალეს. თან გავიყოლეთ კაზაკების ესკორტი.

დილის 9 სთ-ზე ჩავედით მცხეთაში, რომელიც ძველად საქართველოს დედაქალაქი იყო. დღეს ის გადატაკებული და გაუბედურებული სოფელია. ოდესღაც სამეფო ქალაქი დღეს უფრო გაჭირვებისა და სიღარიბის ადგილსამყოფელს ჰგავს. მცხეთაში ჩასვლითანავე გავეშურე ციხესიმაგრის ნანგრევების სანახავად, სადაც მთელი ღამე დავრჩი. ღამე გავატარე ციხესიმაგრის შიგნით, ტაძართან არსებულ მღვდლის სენაკში. ჩემი მასპინძელი სტუმართმოყვარე ადამიანი აღმოჩნდა. მცხეთა ანტიკურ ხანაში მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. ის გახლდათ იბერიის მეფეების სატახტო ქალაქი, რომელშიც მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა. ძველი დედაქალაქის დიდების ნაშთი აქ დღესაც ბევრია შემორჩენილი. იბერიის ამ ქალაქის აშენება გადაწყდა ორი მდინარის - მტკვრისა და არაგვის შეერთების ადგილზე. პლინიუსი, როდესაც იბერიის შესახებ წერდა, აღნიშნავდა, რომ ქვეყნის მთავარ ქალაქს ერქვა ჰარმასტი³⁷ და რომ ის მდებარეობდა მდინარე ნეორისთან³⁸. პტოლემე იმავე ადგილს აღნიშნავს მხოლოდ არტანისის სახელით. ის

აგრეთვე მიუთითებს, რომ მდინარე კურის³⁹ ახლოს გაშენებული იყო მეორე ქალაქი – მესტლეტა. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ „მსკეტ“ და მესტლეტა, ისევე როგორც ჰარმასტისი და არტანისა, ტოპოგრაფიულად ერთი და იგივე ქალაქებია და ის ნანგრევები, რომლებიც მე მოვინახულე, ძველი დედაქალაქის - მცხეთის ციხესიმაგრის ნაშთებია. თავისი დიდებისა და აყვავების პერიოდში ეს ციხესიმაგრე გარს ერტყა იბერიის მეფის სასახლეს, ისევე როგორც დედაქალაქის ეკლესია, რომელშიც შემორჩა შიშველი და დანგრევის პირას მყოფი კედლები, გარდა ერთი პატარა ბნელი ოთახისა ქვის ტახტითა და საკურთხევლით. აი, ესღა გადარჩა ძველი დროიდან. წმინდა ნუნია⁴⁰ სწორედ აქ ქადაგებდა და აქ მარხულობდა. ამ სათაყვანო წმინდანის პატივსაცემად ეს მელანქოლიური სენაკი წმინდა ნინოს სამრეკლოდაა ცნობილი. ტაძარი ანუ საპატრიარქო ეკლესია ციხესიმაგრის შუაშია აღმართული. ის დიდი და წარმოსადეგი ნაგებობაა, მისი გარე ფასადის მოხატულობა ისეთივეა, როგორიც ანანურის ეკლესიის, მაგრამ შიდა ინტერიერი განსხვავებულია. კედლები მოხატულია წმინდანების ფრესკებით, რომლებიც ცუდად აღიქმება მათზე არსებული წარწერების გამო, რომლებიც მყვირალა, კაშკაშა ფერებშია შესრულებული. ისინი არღვევენ რუხი საფლაკების მოჩვენებით სიდიადეს, რითიც დაფარულია განსვენებული პატრიარქების და მეფეების ნაშთები (ამ ტაძარში დაკრძალულნი არიან ქართველი პატრიარქები და მეფეები). მე მაჩვენეს დიდებული და უიღბლო ქართველი მეფის, ჰერაკლიუსის⁴¹ საფლავი. საქართველოს უკანასკნელი მეფე თავის ვაჟებთან ერთად მშვიდად განისვენებს ამ ტაძარში და ვერ გრძნობს, რამდენი უცხოელი დაიარება მისი საფლავის გვერდით. სასიამოვნო მოძღვარმა, რომელიც მე მეგზურობას მიწევდა ამ ტაძარში, მაჩვენა წმინდა რელიკვიები, რომელთა ნახვა ყოველთვის აინტერესებდათ მოგ-

ზაურებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ქრისტეს პერანგი და ელიას მოსასხამის ნაწილია. პირველი რელიკვია მრავალი საუკუნეა საიმედოდ არის დაცული მაღალი საკურთხეველის შიგნით*.

რაც შეეხება ელიას სამოსის ერთ ნაწილს, ისევე როგორც მაგდაგვარ წმინდა რელიკვიებს, მე ვერ შევძელი მათი ნახვა, რადგან არქიმანდრიტი, რომელიც ამ სიწმინდეებზე იყო პასუხისმგებელი, მცხეთაში არ იმყოფებოდა. მდინარის აღმოსავლეთით, ქალაქის მოპირდაპირე მხარეს აღმართულია წვეტიანი და კლდიანი მთა, რომლის მწვერვალი დაფარულია საკმაოდ დიდი რაოდენობის ნანგრევებით. ნაწილი ეკლესიის ნაშთია, დანარჩენი კი ციხესიმაგრის დანგრეული კედლებია. ამ პირამიდის ფორმის მთას თავისი კედლებიანი გვირგვინით, ოდესღაც დიდებული იერი უნდა ჰქონოდა. დღესაც კი, მიუხედავად იმისა, რომ შემორჩენილი მხოლოდ ნანგრევებია, ის მაინც მშვენიერია. აქ ოდესღაც არსებული ციხესიმაგრე, რომელიც საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო, მუდმივ კავშირში იყო ქალაქ მცხეთასთან. არსებული გზის დადგენა დღესაცაა შესაძლებელი აქ განლაგებული სადარაჯოსა და შემორჩენილი კედლების მეშვეობით. ამ გზას მდინარესთან მიყვართ. მდინარის დასავლეთის სანაპირო საკმაოდ მაღალია და კარგი ადგილი იყო

*წმ. ელიას ხალენის და ქრისტეს კვართის საქართველოში ჩამობრძანება მცხეთელი ებრაელების სახელს უკავშირდება. ორივე სიწმინდე იქ არის დაკრძალული, სადაც სვეტიცხოვლის ტაძარი დგას. „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით მაცხოვრის კვართის დაკრძალვის ადგილი უნდა ყოფილიყო „მცირე ბაგინი“, რომლის „საკურთხეველისა სიმტკიცისა ქუეშე ქვათა შინა უღპოლვევლად ვიდრე უამამდე მისსა“ აბიათარ მღვდლის მოღვაწეობამდე ელიას ხალენტან ერთად ინახებოდა (IV ს.). დაწვრ. იხ: ელდარ მამისთვალიშვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003, გვ. 30–31.

ოთხკუთხედი კოშკისთვის, რომელიც წყალზე გასასვლელს სდარაჯობდა. ოდნავ მოშორებით, ჩრდილოეთით, მდინარის პერპენდიკულარულად, მოჩანს მედიდური კლდე. მისი კენწერო ნანგრევების გროვითაა დაფარული. ზოგი მიწასთანაა გასწორებული, ზოგის მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი. მიუხედავად მათი ცუდი იერისა, ამ ნანგრევებიდან მაინც მოჩანს წარსულის დიდება. მაშინ, როდესაც ეს ნაგებობა პირვანდელი ხელშეუხებელი ფორმით იდგა, ის გაცილებით დიდი კოშკი უნდა ყოფილიყო სხვებთან შედარებით. თავისი განლაგებით აკონტროლებდა არა მარტო თავის გზას, არამედ კავკასიონამდე არსებულ მთელ ტერიტორიას და უთვალთვალებდა მოსაზღვრე მთებიდან ნებისმიერ წერტილს მდინარე არაგვზე.

საქართველოს ამ ნაწილში სამხედრო სადარაჯო სისტემა საუკეთესოდაა აგებული. მე მხედველობაში მაქვს კონსტრუქციის ნაწილების ერთმანეთზე განლაგების განსაკუთრებული მეთოდი. ვვარაუდობ, რომ თუ ამ ქვების წყობას პირველად საფუძველი ჩაუყარეს აზიის უფლისწულებმა, შემდგომში ისინი რომაელებმა დამკვირობლებმა გაამაგრეს. ოთხკუთხედი ფორმის კოშკზე, რომელიც იცავდა მდინარეზე გასასვლელ გზებს და რომლის შესახებ მე უკვე მოგახსენეთ, იმავე სამხედრო არქიტექტურის ნიშნებია შემორჩენილი. ძველი კედლის ფრაგმენტებიც, რომლებიც გადაჭიმული იყო მდინარე მტკვრის ჩრდილოეთის სანაპიროს გასწვრივ, გვაოცებენ შესრულების ოსტატობით და გვაგონებენ რომელი ჯარისკაცების მიერ აშენებულ საოცარ ნაგებობებს. ეს კედლები წყდება მდინარე მტკვარზე არსებულ დანგრეულ ქვის ხიდთან. კედლები დაცულია მდინარის ორივე ნაპირზე არსებული ორი მაღალი მართკუთხედის ფორმის კოშკით. ხიდის მეორე მხარეს კედელი გრძელდება, იგი ადგილ-ადგილ გამაგრებულია და გრძელდება ჩრდილოეთის სასახლემ-

დე, რომელიც მდებარეობს ჩემ მიერ ზემოთ აღწერილ ვე-
ება კლდეზე.

პლუტარქე⁴² წერდა, რომ სომხეთის მეფის ტიგრა-
ნის⁴³ დამორჩილების შემდეგ პომპეუსმა⁴⁴ სომხეთში საკ-
მაოდ მრავალრიცხოვან ჯართან ერთად დატოვა აფრა-
ნიუსი⁴⁵, რათა მათ გაეკონტროლებინათ ქვეყანა და თვი-
თონ დაედევნა მითრიდატეს⁴⁶. მისი მარშრუტი გადიოდა
კავკასიონთან მოსაზღვრე ქვეყნებზე. ალბანელები მას
თავისუფლად გატარებას დაპირდნენ. პომპეუსი მიენდო
მათ მიცემულ პირობას და ალბანეთის საზღვრისკენ გა-
ეშურა. მაგრამ როდესაც მისმა ჯარმა მთიან ხეობას
მიადწია, რომელიც მდ. მტკვრის დასავლეთ ნაპირთან
იყო განლაგებული, ალბანელები უცბად აღმოჩნდნენ
მდინარის მეორე მხარეს და პომპეუსისკენ მიემართებოდ-
ნენ მტრული განზრახვით. ალბანელების ქმედებას ორი
მიზეზი ჰქონდა: ან მათ იხანეს, რომ დათანხმდნენ პომპე-
უსის გატარებაზე, ან თანხმობა მისცეს მხოლოდ იმიტომ,
რომ რომელიც გენერალი ჩამოეშორებინათ თავისი დაც-
ვისგან. ეს მოხდა დეკემბრის თვეში, როდესაც რომა-
ელთა ჯარი ზეიმობდა სატურნალიას⁴⁷. პომპეუსი მიხვდა,
რომ მისი „მეგობრები“ მტრები აღმოჩნდნენ. მან გასცა
განკარგულება, რომ ბარბაროსებისთვის მიეცათ მდინა-
რეზე გადასვლის საშუალება. 40000 ალბანელმა გადა-
კვეთა მდინარე. მიუხედავად მრავალრიცხოვანი ჯარისა,
ალბანელები იძულებულნი გახდნენ დანებებულიყვნენ და
დამორჩილებოდნენ რომაელების ვეტერანებისგან შემდ-
გარ ჯარს. ამ ბრძოლის შედეგად პომპეუსმა ქვეყნის
კლიტეს საკუთარი გასადები მოარგო და წინააღმდეგო-
ბის გაწევის გარეშე იბერიისკენ აიღო გეზი. იმდროინ-
დელი ავტორების ცნობით, ალბანეთს მაშინ სამხრეთით
ესაზღვრებოდა მდინარე კიროსი⁴⁸ კასპიის ზღვის სანაპი-
როდან მდინარე არაგვთან შეერთების ადგილამდე. პომ-
პეუსმა იცოდა, რომ მისი მარშრუტი იბერიისკენ ძნელი

და საშიში იქნებოდა, რადგან მას უნდა გაეგვლო გზა კავკასიონსა და სომხეთს შორის, სადაც ცხოვრობდა თავისუფლებისმოყვარე გულადი, მეომარი ხალხი, რომელიც არასდროს არაგის ემორჩილებოდა. თბილისსა და მცხეთას შორის დიდი ველია, სადაც უიმედოდ განწყობილი იბერიელები დაბანაკდნენ საშიშ დამპყრობელთან საბრძოლველად. დამპყრობელთან, რომელმაც უკვე დააჩოქა ალბანეთი. ეს ველი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ორ მოწინააღმდეგე ჯარს შეეძლო ებრძოლა. რომაელებს კვლავ გაუმართლათ და იბერიის ყველაზე მდიდარი მხარე გახდა გამარჯვებული რომაელების ნაღავლი. პომპეუსმა დაიკავა ზამთრის ყაზარმები, რათა დაემყარებინა კავშირი თავის საგუშაგოებთან მის მიერ დაპყრობილ ალბანეთსა და იბერიაში. ჩვენ მივაგენით იმ ზამთრის ყაზარმებს მცხეთაში.

მცხეთა, ფაქტიურად, ციხესიმაგრეა ბუნების წყალობით. ამისათვის საჭიროა მხოლოდ დახედოთ ქალაქს და უმაღლარწმუნდებით ჩემი სიტყვების სისწორეში. ქალაქი მდებარეობს ორი მდინარის – მტკვრისა და არაგვის შესართავთან. მთების ბუნებრივი კოშკები, ციცაბო კლდეების ციხესიმაგრეები და მათი განლაგება შესაძლებელს ხდის გზის უცბად ჩახერგვას, იმ გზის, რომელიც ორ სხვადასხვა სამეფოში მიდის. იბერიის ყოფილმა მეფეებმა იცოდნენ მცხეთის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობის შესახებ და როდესაც საგუშაგოებს იშენებდნენ, მათ ქვებით ამაგრებდნენ. ამ საგუშაგოების ნანგრევებით გარშემო მთებია დაფარული. ნანგრევები, რომლებსაც ჩვენ წავაწყდით, შემდგომ ეპოქებში გაამაგრეს აზიელმა და ევროპელმა დამპყრობლებმა. ბერძნულ და რომაულ საფორტიფიკაციო ნაგებობებში შეიმჩნევა ძველი აღმოსავლური ციხესიმაგრეების კვალიც, რომელიც არა მარტო იბერიის, არამედ კავკასიონის მთების თითოეულ ხეობაში გვხვდება.

სამოქალაქო თუ სამხედრო არქიტექტურული სტილი სხვადასხვა ერის ხალხის წარმომადგენელთა გემოვნებით ჩამოყალიბდა. როგორც პროფესორი რენიგსი აღნიშნავს, საქართველოში მოგზაურობის დროს მას უთხრეს, რომ მცხეთის ჩრდილოეთის კოშკში იპოვეს ქვა, რომელზეც ამოტვიფრულია ბერძნული წარწერა „აკროსტოპოლისი“. პროფესორი წერს, რომ ყველა ქართველი ისტორიკოსი, ისევე როგორც სხვა სწავლულები, მცხეთას მიიჩნევს იბერიის სამეფოს ყველაზე დიდ ქალაქად და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იბერია აყვავებული სამეფო იყო არა მარტო ანტიკურ ხანაში, არამედ გაქრისტიანების პერიოდშიც. ადრე იქ მნიშვნელოვანი გარნიზონი უნდა ყოფილიყო. დანვილეს⁴⁹ მოსაზრებით, ქალაქი ჰარმოზიკა (რომელსაც პლინიუსი იხსენიებს ჰარმასტად და პტოლემეი არტანისად) მტკვრისა და არაგვის შესართავთან იყო გაშენებული. ქალაქი ტუშარა⁵⁰ კი მდებარეობს მდ. არაგვის ნაპირას ჰარმოზიკის მახლობლად.

12 ოქტომბერს, 11-ზე ჩვენ დავტოვეთ ეს საინტერესო, ძველი დედაქალაქი, გავიარეთ მტკვრის ჩრდილოეთი ნაპირი და დაახლოებით ერთი ვერსის მანძილზე გადაგვეთეთ მდინარეზე არსებული ხიდი, რომელიც, როგორც ადრე აღვწერე, მდებარეობს რომაული ხანის ორ დიდებულ კოშკს შორის. ამ ძველი ხიდის კონსტრუქციიდან აღარაფერია შემორჩენილი, გარდა ქვებისა, რომლებიდანაც ძველი თაღები ჩანს. ბოძები, რომლებიც თაღებს იჭერდნენ, გაქრნა და თაღები ერთმანეთთან ხის პლატფორმებით არიან დაკავშირებული. მათი მეშვეობით მგზავრები გადადიან ხიდზე და მათ ქვეშ მდ. მტკვარი მოჩქეფს. არაგვის კრიალა და კამკამა წყალი კონტრასტულია მტკვრის მუქ და მღვრიე ტალღებთან. მდინარე მტკვრის სათავის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით იმდენი სხვადასხვა აზრია, რამდენი ისტო-

რიკოსი და მწერალიც დაინტერესებულა ამ საკითხით. სტრაბონს ეგონა, რომ ის სათავეს სომხეთში იღებდა, პლინიუსს კი, რომ ის კავკასიაში სკვითების მთებიდან მოედინებოდა. პტოლემეი კი მტკვრის სათავედ კოლხეთს, თანამედროვე იმერეთს ასახელებდა. შარდენის აზრით, მტკვარი კავკასიიდან მოედინებოდა. ეს მოსაზრება გამართლდა. მისი კვალი აღმოჩნდა მთებში, რომლებიც ესაზღვრება პროვინცია აკჰისკას⁵¹ დასავლეთით და წარმოადგენს კავკასიის ერთგვარ განშტოებას. აკჰისკას შტოდან გამოდის რამდენიმე პატარა ნაკადული, რომლებიც ერთდება და ჰქმნის არხს ახალციხის მახლობლად*. აქ მას ჰქვია მტკვარი. გაივლის რა ახალციხეს, მტკვარი მიედინება თურქეთის ტერიტორიაზე, თანდათანობით აფართოებს თავის კალაპოტს მცირე მდინარეების მიერთებით. მიუხედავად მისი ბევრი განშტოებისა, მდინარეს გეზი აღმოსავლეთისკენ აქვს აღებული, შემდეგ იგი გადაკვეთს მინდვრებს და მდელოებს, გაივლის ერთ-ორ ფართო ვაკე ადგილს და ასე შემოდის მცხეთაში. იქიდან კი მიედინება ტიფლისამდე. ტიფლისი აღარ არის აზიური მთავრების ჩინებული რეზიდენცია, მაგრამ მაინც დედაქალაქია, გააჩნია ციხესიმაგრე, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე წარმოსადგეი გარეგნობის. აქედან მტკვარი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიემართება, ანოყიერებს და ამშვენებს ქვეყანას თავისი სილამაზით და სიდიადით. ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარეები, რომლებიც მის კალაპოტში ჩაედინება, არის ალაზანი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან და არაქსი სამხრეთიდან. არაქსი მტკვარში ჩაედინება დაახლოებით 70 მილის დაშორებით მდინარის შესართავიდან. როდესაც ეს შეერთება ხდება, მტკვრის სიგანე და სიღრმე იზრდება და მდინარე გამოსადეგი

*მოგზაური ახალციხეს ხან ქართული, ხანაც თურქული სახელწოდებით (აკჰისკა) იხსენიებს.

ხდება დიდი ნაგებისთვის. 50 მილით დაბლა მდინარე იყოფა ორ შტოდ და ასე გადის პროვინცია მაგანს⁵², კასპიის ჩრდილოეთ-დასავლეთ სანაპიროს; აქედან ორმაგი კალაპოტით იგი კასპიის ზღვაში ჩაედინება.

ანტიკური ხანის მწერლები თვლიდნენ, რომ ძველად ნაოსნობა გაცილებით ინტენსიური იყო, ვიდრე დღესაა. სწორედ ამ მდინარის მეშვეობით ხდებოდა ტვირთის გადაზიდვა ინდოეთიდან შავ ზღვამდე. პლინიუსი ასე აღწერს ამ მარშრუტს: როდესაც ტვირთი ბაქტრიაში⁵³ ჩადიოდა (თანამედროვე ბალხი), ვაჭრები ტვირთავდნენ საქონელს მდ. იკარუსზე (მდ. ჯეჰონი⁵⁴) ოქსუსამდე⁵⁵ და ასე ჩადიოდა ტვირთი კასპიის ზღვამდე; მდ. მტკვრის მეშვეობით 5 დღის განმავლობაში ის ხმელეთით მოგზაურობდა მდინარე ფაზისამდე, სადაც კიდევ ერთხელ ტვირთავდნენ და საბოლოოდ ეუქსინამდე⁵⁶ ჩადიოდა.

ანტიკური ხანის ავტორები ერთხმად აღიარებენ, რომ ეს ის დიდი გზა იყო, რომლის მეშვეობითაც ევროპა აღმოსავლეთიდან დებულობდა ფუფუნების საგნებს. დღეს არც მტკვარი და არც რიონი არ არის წყალუხვი მდინარეები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა დიდი ტვირთის გადაზიდვა. მისტერ გიბონი⁵⁷, მოძიებულ წყაროებზე დაყრდნობით, თავის ნაშრომში „რომის იმპერიის დაკნინება და დაცემა“ აღნიშნავს, რომ მდ. მტკვარზე ნავიგაცია ისევეა შესაძლებელი, როგორც მდინარე საროპინაზე⁵⁸. დღეს წარმოუდგენელია რიონზე რაიმე ტვირთის გადაზიდვა.

ერთი დღის მგზავრობის შემდეგ ჩვენ მივადექით საქართველოს დედაქალაქ თბილისს, რომელიც მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე მთებს შორის მდებარეობს. ერთ-ერთ მთაზე დგას ძველი ციხესიმაგრე⁵⁹. ქალაქში უხვადაა შემორჩენილი ქრისტიანული ტაძრები. რაც თვალში მეცა ქალაქის პირველი დათვალიერებისას, იყო საშინელი აზიური ჭუჭყიანი ქუჩები, გავიარეთ რა პატარა ქვის ხი-

დი, მივედით საგუშაგო შენობასთან, რომელიც თბილისი-დან 3 ვერსით იყო დაშორებული. იქ ყველა კარანტინს გადიოდა. როდესაც წარვუდგინეთ ჩვენი ჯანმრთელობის ქაღალდები, დაგვრთეს ნება, ქალაქის ჭიშკრიდან შევსულიყავით ქალაქში. თბილისში შესვლისთანავე დამეუფლა ისეთი გრძნობა, თითქოს ტროფონიუსის⁶⁰ გამოქვაბულში შევდიოდით. მე გავემართე სომეხ ხოჯა არატუნის სახლში, რომლის მამა ხაზინადრად მუშაობდა სპარსეთის მეფის კარზე. მასპინძლისგან გავიგე, რომ საქართველოს გამგებელი, გენერალი ერმოლოვი⁶¹ დაბრუნდა სპარსეთიდან, სადაც ის დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა. მეორე დღეს მე ვეახლე მის აღმატებულებას, წარვუდგინე ჩემი თავი და გადავეცი წერილები. მისი დახვედრა საერთოდ არ ჰგავდა მოღუშულ დედაქალაქს. მალე მის ირგვლივ არსებული სიბოროტე კედლებს გასცდა.

თბილისი, რუსების გამოთვლით, 2627 ვერსითაა დაშორებული პეტერბურგიდან. ის მდებარეობს 42⁰ 45¹ განედზე. შარდენის მიხედვით კი - 43⁰ განედზე. კაპიტან მონტეითის გამოთვლით, თბილისი 41⁰ 43¹ განედზეა განლაგებული. ქალაქს არაფერი აქვს საერთო ანტიკურ პერიოდთან. ის დაარსდა 1063 წელს მეფე ლივანგის⁶² ზეობის დროს, რომელსაც უნდოდა გამოეყენებინა თბილისში არსებული ბუნებრივი ცხელი წყლები. ქალაქის სამხრეთ ნაწილში შემორჩენილია ძველი ციხის ნანგრევები, თურქების მიერ აგებული ახალი ციტადელისგან მოშორებით. რუსმა გუბერნატორმა თავისი რეზიდენციის ადგილსამყოფელად აირჩია მთა, საიდანაც დიდებული კავკასიონი კარგად მოჩანს. ეს ქალაქის ცენტრიდან მოშორებული ადგილია. რეზიდენციის შეკეთება როდესაც დასრულდება, ის გამორჩეული იქნება დიდი შუშაბანდით, რომლის ფასადს ქვის ორნამენტიანი ფიგურები დაამშვენებს.

ეს ნაგებობა არსენალით, საავადმყოფოთი, ეკლესიებით და რამდენიმე ახლოს მდებარე ვილით, ის შენობებია, რომლებიც ევროპულს გვაგონებს. დანარჩენი სახლები ტიპური აზიური ნაგებობებია, მაგრამ სრულიად განსხვავებული იმ შეხედულებისგან, რომელიც ევროპაშია გავრცელებული: ნათელი მინარეთები, მოხატულგუმბათიანი შენობები, მოოქროვილი გისოსები. აქ იყო დაბალი, ბრტყელსახურავიანი შენობების რიგი, რომელიც აშენებული იყო ქვითა და ტალახით და მათში შერეული მუქი აგურით. კარებები და ფანჯრები ძალიან პატარებია; ფანჯრები დაფარულია ქაღალდით, დეფიციტისა და სიძვირის გამო მინას ნაკლებად იყენებდნენ. თბილისის გარშემო აღმართული მთების ჩრდილში მცხოვრები მოსახლეობა ისე შეეჩვია სიბნელეში ცხოვრებას, რომ განათების მოთხოვნა ნაკლებად აქვს. ამის დასტურია ის, რომ ქაღალდის გაუმჭვირვალობის მიუხედავად, იშვიათად მიმართავენ საწვავს. თბილისის ყველა ქუჩა ვიწროა. მოძველებული ტროტუარები საშინლად ჭუჭყიანია როგორც სველ ამინდში, ისე მტკრიანი, მშრალი ამინდის დროსაც. მისმა აღმატებულებამ – გუბერნატორმა ბრძანა ქუჩებში ქვების დაგება და ეს სამუშაოები უკვე დაწყებულია. მას განზრახული აქვს დანგრევის პირას მისული სახლების აღება და მათ ადგილზე თანამედროვე დაგეგმარებით ახალი შენობების აგება. გუბერნატორის სპარსეთში ყოფნის დროს დაიწყო ბაზრის გადაკეთება. შენობა მთლიანად გადაიხურა, ადგილი დატოვებულია მხოლოდ ჰაერისთვის და სინათლისთვის. კოლონადების გრძელი რიგი ბაზარს მოედანთან და ქალაქის საგუშაგოსთან აერთებს, სადაც ლამაზთადიანი მაღაზიებია ჩამწკრივებული. ეს თაღები ვაჭრებსა და გამყიდველებს წვიმისა და სიცხისგან იცავს. ბაზარი განლაგებულია ვიწრო და ზოლიან გრძელ ქუჩაზე, რომლის ორივე მხარეს განთავსებულია სხვადასხვა მაღაზიები: ხილის, ბოსტნეულის, აბრეშუმის,

ხავერდის, იარაღის და სამკაულების; აქვეა სადალაქო, სამზარეულოები და ა.შ. საქონელი გამოფენილია დახლებზე. საქონელს ტვირთავენ ცხენებსა და კამეჩებზე, რომლებიც ხშირად საფრთხეს უქმნიან ფეხით მოსიარულეებს, თუმცა პირადად მე არ მოვსწრებივარ ამ ფაქტს. ბაზარი ყოველთვის სავსეა ხალხით და იქ მუდმივი ალიაქოთი სუფევს დილიდან დაბნელებამდე.

ბაზართან ახლოს მდებარეობს ქარვასლა, სადაც მოგზაურ ვაჭრებს ბნელ და სარდაფისმაგვარ ოთახებში ქვისა და მიწის იატაკზე აქვთ გამოფენილი საქონელი. თითოეული საქონლის მეპატრონე ფეხმორთხმით ზის თავის გასაყიდი საქონლის გროვასთან. ერთ-ერთ ვაჭარში მე შევიცანი სომეხი, რომელთანაც ერთად გავიარეთ კავკასიონის გზა. მას გაუხარდა ჩემი დანახვა და გამიმასპინძლდა ჩაშაქრებული ხილითა და ერევანში დამზადებული არყით. ქარვასლა გრძელი სამსართულიანი შენობაა, რომლის თითოეულ კართან შუშაბანდია განლაგებული. ქვის კიბეებით ხალხი ზემოთ და ქვემოთ მოძრაობს. ქარვასლის ეზოში ვაჭრების ცხენები და ჯორები დაბმული.

ბაზრის ბოლოს ჩვენ წავაწყდით პატარა ხიდს, რომლის ქვეშ მიწუხიწუხებდა კამკამა და ცივი მთის ნაკადული, რომელიც ბოლოს თბილ წყლებს უერთდებოდა.

თბილისი განთქმულია თერმული ცხელი წყლებით, რომლებსაც სამკურნალო თვისებები აქვთ. სწორედ მათ გამო დაერქვა ქალაქს თბილისი. ეს წყლებია გამოყენებული თბილისის ცნობილ აბანოებში. თბილისის მოსახლეობა და აქ ჩამოსული მოგზაურები და სტუმრები ამ წყლებს ხმარობენ სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. აბანოები აგრეთვე მამაკაცებისა და ქალებისთვის ხშირი თავშეყრის ადგილსაც წარმოადგენს. აბანო ფუფუნებისა და გართობის ადგილად ითვლება.

აბანოსთან მდებარეობს ხიდი, რომლის ერთ მხარეს ციხესიმაგრის რუხი კედლები მოჩანს. წყალი, რომლითაც მარაგდება აბანო, განსაკუთრებულია. ის გოგირდითაა გაჟღენთილი და მას ამ წყლისთვის დამახასიათებელი უსიამოვნო სუნი აქვს. ამ წყლის ტემპერატურა სხვადასხვა ადგილას 15⁰-დან 36⁰-ეა. იქ, სადაც ცხელი წყალი სათავეს იღებს, ტემპერატურა 42⁰-ს აღწევს. ეს წყალი მასიური კლდიდან მოედინება და აბანოს სხვადასხვა ოთახებში შედის. როდესაც აბანოში შევედი, ვერსად ვნახე ადგილი, სადაც შესულ ადამიანს შეეძლო თავისი ტანსაცმლის განთავსება ისე, რომ არ დაესველებინა. აბანოში შესვლა ყველა მსურველს შეუძლია. იქ ყველანაირ ხალხს მოეყარა თავი. ზოგი ჯაგრისით იხეხავდა ტანს, ზოგი იპარსავდა. აბანოში სპეციალური პერსონალია, რომელიც ყოველთვის მზადაა, აბანოში მოსულებს მოემსახუროს.

მამაკაცმა, რომელიც მე მახლდა, შემომთავაზა შეგვეხედა აბანოს იმ ნაწილში, რომელიც ქალებისთვის იყო განკუთვნილი. მისმა შემოთავაზებამ გამაკვირვა და, თუმცა მიუღებელი იყო ჩემთვის, მისთვის რომ მესიამოვნებინა, დავთანხმდი. ჩვენ გეზი აბანოსკენ ავიღეთ და ჩვენდა გასაკვირად, იქ შესვლა სიძნელეს არ წარმოადგენდა. კართან მდგომმა მოხუცმა ქალმა მიგვანიშნა, თუ საით უნდა წავსულიყავით. ერთ-ერთ ოთახში, რომელიც კარებთან ახლოს იყო, ჩვენ სხვადასხვა ასაკის ბავშვები დავინახეთ. ისინი ოთახის შუაში მრგვალი ფორმის აბაზანაში ჭყუმპალობდნენ, დედები კი მათ ბანდნენ. ბავშვების სხეულის ხილვა ყოველთვის სასიამოვნო სანახავია. ჩვენ სიამოვნებით ვუყურებდით მათ და დადებითი ემოციებით ვიყავით სავსე, რაც არ შეგვიძლია ვთქვათ მათი მამების ბანაობასთან დაკავშირებით. დავტოვეთ რა ბავშვების ოთახი, შევედით გაცილებით დიდ, კარგად განათებულ და კამარით გადახურულ ოთახში, რომელშიც წყალიც

არსად ჩანდა, მაგრამ ოთახის შუაში იდგა ქვის ტახტი, რომელზეც ლეიბი და ხალიჩა იდო. ტახტზე ნახევრად-ჩაცმული და მოსასხამიანი ქალები ისხდნენ. მათ მოახლეს ახლდნენ, რომლებიც მშრალი ტილოთი უხეხავდნენ ნაზ სხეულს, უღებადნენ თმებს და წარბებს, სახეზე კი ფერუმარილს უსვამდნენ. ჩვენ ისევე ადვილად და უპრობლემოდ გამოვედით ოთახიდან, როგორც შევედით. ჩვენმა იქ ყოფნამ არც განგაში გამოიწვია ქალებში და არც გაოცება. შევედით განიერ, გამოქვაბულის ფორმის ოთახში, საიდანაც ქალები წყლიდან ახალი გამოსულები იყვნენ. ოთახი ორთქლით იყო სავსე და მასში გოგირდის მკვეთრი სუნი იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ოთახი დაბურული იყო, ქალების სხეულის ნაკვეთები მაინც გავარჩიეთ, ნებისმიერ მდგომარეობაში, რომელშიც მამაკაცს შეეძლო წარმოედგინა მობანავე ქაღალმურთები ქანდაკებაში ამოსატიფვრად. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ფრიალ გაოგნებულები დავრჩით იმ მოურიდებელი სიმშვიდით, რომლითაც ჩვენი ყოფნის მიუხედავად ქართველი ვენერები აგრძელებდნენ ბანაობას. ალბათ, მათ იმ რაოდენობის ჰქონდათ ბუნებაში სირცხვილისა და მორიდებულობის გრძნობები, რამდენიც ტანზე ტანსაცმელი. ეს სცენა იმდენად უსიამოვნო იყო ჩემთვის, რომ ჩვენ სასწრაფოდ დავტოვეთ ქალების განყოფილება.

ისინი, რომლებიც გაჯანსაღების მიზნით ბანაობენ, წყალში დიდხანს არ ჩერდებიან, მხოლოდ რამდენიმე წუთს, ან იმდენ ხანს, რამდენიც ექიმის მიერ აქვთ გამოწერილი, მაგრამ ისინი, ვინც ბანაობის მოყვარულნი არიან, საკუთარი სიამოვნებისთვის აბაზანას ისე იღებენ, როგორც თურქები ოპიუმს. ზოგი დიდ დროს უთმობს ამ დამქანცველ ადგილს, ყოველ კვირას აქ ერთ დღეს ატარებენ, თუმცა, დროის დიდი ნაწილი ეთმობა მაკიაჟის გაკეთებას, თმის, წარბების და წამწამების გაშვებას, ისე რომ მომდევნო კვირას იშვიათად მიმართონ თავის

მოვლის ასეთ საშუალებებს. აბანო თბილისში არა მარტო ბანაობის ადგილია, არამედ ადგილი, სადაც ხალხი ერთმანეთთან ურთიერთობს. აქ იმართება დებატები სხვადასხვა თემებზე, ქალები თმების, სახის, წამწამების მოვლით არიან დაკავებულნი. ეს აღმოსავლეთის ქალღმერთები აბანოში იახლებენ გარეგნულ იერს, ბჭობენ სხვადასხვა ოჯახურ პრობლემებზე, ყვებიან ჭორებს ახლობლების ოჯახების შესახებ. მე მითხრეს, რომ კვირაში არის ისეთი დღეები, როდესაც თითოეულ ქალბატონს შეუძლია მარტომ იბანოს, ან მის მიერ არჩეულ ქალების ჯგუფთან ერთად. ქალბატონი, რომელიც ჩვენი გამოცდილებელი იყო, აბანოში შემსვლელებს განაწილებაში სიამოვნებით ესმარებოდა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში თბილისის მოსახლეობის ზედა ფენამ მიატოვა ბევრი აზიური მანერა. ცვლილებების მიზეზი ევროპული ქვეყნების სამოქალაქო და სამხედრო პირებთან ურთიერთობის შედეგია. რაც შეეხება დედაქალაქის დაბალ ფენებს, ნაწილობრივი ცვლილებები იქაც შეინიშნება. სახლის პატრონები, რომლებთანაც დროდადრო რუსი ჯარისკაცები ჩერდებოდნენ, უკვე ნებას რთავდნენ ცოლებს, რომ დანახვებოდნენ უცხო სტუმრებს. როდესაც ქართველი ქალი გარეთ გადის, იგი ტრადიციულად თავიდან ფეხებამდე შეხვეულია აზიურ სამოსში, სახეზე პირბადე აქვს აფარებული, რომელსაც „ჩადრი“ ჰქვია. თუ რომელიმე ქალბატონი საკუთარი სახლის კარებთან ჩადრის გარეშე დგას, ის სასწრაფოდ სახლში შედის და იმალება, რომ თავისი სახე არ გამოაჩინოს.*

* აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის I ნახევარში, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, გასათხოვარი და გათხოვილი მანდილოსნები ერთიმეორისგან თავსაბურავით განსხვავდებოდნენ. ვახუშტის ცნობით, გასათხოვარ ქალებს თავზე ეხუ-

ქართველი ქალის სილამაზეზე კამათიც არ შეიძლება. ქალებს დიდი მუქი თვალები აქვთ, სწორი, სასიამოვნო, თბილი სახის ნაკვთები და კარგი ხასიათი. ისინი ფრიად ზრდილობიანები და თავაზიანები არიან. ეს დახასიათება საერთოა ყველა ქართველი ქალბატონისთვის. მაღალი წრის მანდილოსნების ტანსაცმელი მდიდრულია და ტანზე ლამაზად აქვთ მომდგარი. დაბალი წრის ქალებს დაძონძილი და ჭუჭყიანი ტანსაცმელი აცვიათ.

ერთხელ, როდესაც თბილისის ციხესიმაგრისკენ მივდიოდით, ჩაგუარე ბაზარს და შევამჩნიე რამდენიმე ქალი, რომლებსაც სახეზე ჩადრები ჰქონდათ აფარებული. ჩემთვის ძნელი გამოსაცნობი არ იყო, ჩადრის ქვეშ მდიდარი ქალი იმალებოდა თუ მდაბიო.

ჩემი ყურადღება მიიპყრო პურის მაღაზიამ. გაღებული კარიდან დავინახე, თუ როგორ აცხობდა პურს მეპურე. ცომს ჯერ ძალიან აბრტყელებდა (ჩვეულებრივი პირსახოცის სიგრძემდე), შემდეგ კი ხელის გულით ცხელი ღუმელის კედელზე აკრავდა. ღუმელის კედელი მუდმივად გავარვარებული იყო. ამდაგვარი ფორმის პური აზიის თითქმის ყველა ქვეყანაში ცხეება. მას ხშირად პურის ფუნქცია კი არ აქვს, არამედ ჭამის დროს გამოიყენება, როგორც თეფში და ხელსახოცი.

რათ „ქუდი ანუ ღეჩაქი“, ხოლო „ქრმოსანთა კავსა ზედა დაწუს აქესთ თმა შეწნული, მსხვილი იმიერ და ამიერ, „ეზას ქვეშ მარგალიტით შემზადებულს ამოიდებდნენ და თხემსა ზედა შეიკურენ, და ჰპურავთ მასზედ ღეჩაქი“. იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 46. როგორც კ. მაჩაბელი აღნიშნავს: „წერილობითი წყაროების მითითებით ქართველ ქალთა თავსაბურავი ორმაგი იყო: თავზე შემოხვეული, ნიკაპის ქვეშ ამოდებული თხელი მანდილი (მარცხენა მხარეს შეკრული) და მასზე მოხვეული თავსაკრავი ან ღეჩაქი“. იხ. კ. მაჩაბელი, ქართული ისტორიული კოსტიუმი, V-X სს. თბ., 2013, გვ. 85.

როდესაც თბილისის ციხე-სიმაგრესთან მივედი, ჩემ წინ ნანგრევების დიდი მასა გამოჩნდა. ციხის ძირამდე მისასვლელად საკმაო შრომა იყო გასაწევი, ბევრი საშიში ფერდობი უნდა გადაგელახა. ციხესიმაგრე წარმოადგენდა აუარებელი ნანგრევის გროვას, მაგრამ იმდენად შთამბეჭდავად და დიდებულად გამოიყურებოდა, რომ ეს ვითარება აძლიერებდა აღმოსავლური კოშკების სიდიადეს. 1576 წელს⁶³, როდესაც თურქებმა საქართველო დაიპყრეს, ეს ციხესიმაგრე ააგეს, რათა ადგილობრივი მოსახლეობისთვის შიში ჩაენერგათ. ორი საუკუნის შემდეგ საქართველოს ირანელები შემოესივნენ და მათ დაანგრეს ეს შესანიშნავი ნაგებობა. ამის შემდეგ მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი.

ამ ციხესიმაგრის ასაშენებლად შესაფერისი ადგილი იყო შერჩეული, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მთა, საიდანაც მშვენივრად ჩანს შარდენის მიერ აღნიშნული მეჩეთის⁶⁴ ნანგრევებიც. დღეს ის დამნაშავეთათვის ციხედაა გამოყენებული; ციხეს კომენდანტი იცავს, რომელსაც დაცვაც ჰყავს. გარდა ამ ციტადელისა, თურქებმა იმავე პერიოდში გაამაგრეს გაღავანი, რომელიც ქალაქს ყველა მხრიდან ჰქონდა გარშემორტყმული, თუმცა ეს კედლები დღეს უკვე აღარ არსებობს, გარდა ერთი კედლისა, რომელიც მდინარე მტკვრის მოპირდაპირე მხარეს შემორჩა. სამწუხაროდ, ციხესიმაგრე და ქალაქის დამცავი გაღავანი უფრო მეტად დაზიანდა მოსახლეობის უდიერი მოპყრობისგან, ვიდრე ომებით გამოწვეული ნგრევისაგან. მოქალაქეებს ნანგრევებიდან ქვები სახლში მიჰქონდათ და მათ საშენ მასალად იყენებდნენ.

თბილისის გარშემო აღმართული მთები ხეებითა და ბუჩქებით არის დაფარული. ისინი ქალაქს ალამაზებენ. ერთ-ერთი მთის სამხრეთით ჩვენ ვიპოვეთ სასაფლაო. საფლაოებზე აღმართული იყო ქვები. ისინი იმ

თურქებს ეკუთვნოდა, რომლებიც აქ რამდენი საუკუნის წინ ბატონობდნენ.

მრავალ საფლავს შორის ზომებითა და არქიტექტურით 5 გამოირჩეოდა. ისინი ოთხკუთხედი აგურით აშენებული ნაგებობებია. მათზე კვადრატული და რომბის ფორმის ამოტვიფრული ორნამენტებია, თითოეულ საფლავს თაღის ფორმის კარი აქვს დატანებული, რომელსაც აკლდამაში შევყავართ. ორნამენტით მორთული კედლები უბრალოდია შელესილი და, ალბათ, მოღების ღოცვების ადგილს წარმოადგენს. მოღები ღოცვებს ადავლენდნენ გარდაცვლილი თურქი წინამძღოლების სულის მოსახსენიებლად. ამ სახის რელიგიური რიტუალები რეგულარულად სრულდებოდა მუსულმანების მიერ განსაზღვრულ დღეებში. ერთ-ერთი საფლავის საფარი გახსნილი იყო და როდესაც ნაპრაღში ჩავიხედე, გრძელი და ვიწრო ქვის კუბო დავინახე, რომლის შიგნით გავარჩიე თავის ქალა და ადამიანის სხეულის სხვა ძვლები. თითოეულ საფლავს გათხრის კვალი ეტყობოდა. ეს ალბათ განძის მაძიებლების ნამოქმედარი იყო. ვერც ერთ საფლავზე ვერ გადავაწყვიტე წარწერებს. თბილისში რამდენიმე კარგი ქრისტიანული ეკლესიაა. განსაკუთრებით მშვენიერია რომაული კათოლიკური ეკლესიის შენობა, წმინდა სიონის ტაძარი. განსაკუთრებით დიდია სომხური ეკლესია⁶⁵, რასაც ვერ ვიტყვი მის სიმდიდრესა და არქიტექტურულ დახვეწილობაზე. თუმცა, მისი უპირატესობა ადგილმდებარეობაშია. ტაძრის საძირკველთან მტკვარი მიედინება. მდინარის შევიწროებულ ადგილას ქალაქს საკმაოდ მნიშვნელოვან გარეუბანთან – ავლაბართან ერთთაღიანი ხიდი აერთებს, ავლაბარში უმეტესად სომხები ცხოვრობენ, რომლებიც რუსეთ-სპარსეთის ომების⁶⁶ დროს გამოიქცნენ ერევნიდან.

იქვე ვნახეთ ძველი სიმაგრე, ეკლესია და სახლები. ქალაქიდან ორი მილის მოშორებით ეკლესიის ნანგრევე-

ბია. ის მაღალ მთაზეა, საიდანაც ქალაქის შესანიშნავი ხედი იშლება: ერთი მხრიდან ჩანს ქალაქი, ციტადელი, ეკლესიები, ბაღები; ჩრდილოეთ მხრიდან მოჩანს მტკვრის დაკლაკნილი დინება, რომელიც კვეთს მდელოებს, ვაკე ადგილებს, აქედან ვხედავდი მთაგრეხილს კახეთიდან ყაზბეგამდე, მათ უშველებელ მწვერვალებს, ერთიმეორეზე მიყოლებით, სადამდეც თვალი გასწვდებოდა ჩრდილოეთიდან-დასავლეთამდე და ეს ყველაფერი გვირგვინდება ფერმკრთალი, ღრუბელში გახვეული ელბრუსის მწვერვალით. რუსმა ოფიცერმა, რომელმაც გაზომა ელბრუსის მთა, გამოთვალა, რომ ის არის თექვსმეტი ათას შვიდასი ფუტი სიმაღლის, ზღვის დონიდან.

არსებობს ასეთი თქმულება, რომ წარღვნისას წყლის დონის დაწვეის დროს, ნოეს კიდობანმა, რომელიც არარატის მთების მიმართულებით მიცურავდა თავის საბოლოო ადგილამდე, ძირი გასცხო ელბრუსის მწვერვალს და იმის შემდეგ მთას ბზარი გაუჩნდა. მეტი თავდაჯერებულობა რომ მიეცეს ამ თქმულებას, უკეთესია ეთქვას, რომ კიდობანმა გავლისას მთას წვერი მოატეხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, წმინდა ხომალდი ვერ შეეხებოდა მთას. დღეს ელბრუსი არარატზე ბევრად დაბლა დგას. ასეთი ზეპირი გადმოცემა, რომელიც ელბრუსს ბიბლიასთან აკავშირებს, არაერთია. კლასიკური ხანის მწერლები ამტკიცებენ, რომ ელბრუსის მთა იყო უზარმაზარი კლდე, რომელზეც პრომეთე მიაჯახვეს. ყოველივე ეს ბერძენმა დრამატურგმა ესქილემ⁶⁷ აღწერა. ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც დღეს ელბრუსის ხეობაში ცხოვრობს, ახლაც სწამთ ძველი თქმულების, რომლის თანახმად, დიდი გოლიათის ძეგლები სააშკარაოზე იყო გამოტანილი ღვთის რისხვის გამო და მათი ნახვა ახლაც შეიძლება ელბრუსის პატარა მწვერვალზე.

კავკასიის ხალხებთან დაკავშირებულია უამრავი საგმირო მითი. მათში არა მარტო ადამიანებს უკავიათ

თვალსაჩინო ადგილი, არამედ ზებუნებრივ არსებებსაც. აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებში გვესმის და ვკითხულობთ კავკასიის მითებისა და აქ მაცხოვრებელი ხალხების შესახებ სხვადასხვა ლეგენდებს, ისტორიებს, იგავ-არაკებს, ლექსებს. კოლხი მედღა თავის სასწაულმოქმედ მაღამოებს და ჯადოებს ამზადებდა კავკასიონის მთების ახლოს. რომანტიული და ექსტრაგაგანტული ლეგენდების მოსმენა დღესაც შესაძლებელია ყაზბეგისა და ელბრუსის მყინვარების ახლოს დასახლებულ ხალხში.

ჩემი თბილისში ყოფნის დროს თითქმის გამუდმებით წვიმდა. დიდი სურვილი მქონდა დამეთვალყურებინა კახეთი, მაგრამ უამინდობამ ხელი შემიშალა. მაგრამ იმან, რისი ნახვაც შევძელი, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე მოვიხიბლე ბარაქიანი ველების სილამაზით, მთა-გორებით, რომლებიც დაფარულია ულამაზესი ტყეებით (წაბლის, მუხის, წიფლის, თელას ხეებით), ვენახებითა და ხილის უამრავი ნაირსახეობით. აქაური თეთრი და წითელი ღვინო ყოველთვის ძვირფასი იყო თავისი სინაზით, სიმსუბუქით, დელიკატური გემოთი. ის განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეებში დაყენებული ღვინოებისგან. კახეთის ველები მდიდარია: კანაფით, სე-ლით, ბრინჯით, ფეტვით, ქერითა და ხორბლით. მათ მოყვანას ხელს უწყობს კახეთის დაღოცვილი მიწა. აქ ბინადრობენ ხოხბები, თითქმის ყველა გარეული ფრინველი და ისეთი ცხოველები, როგორებიცაა: ირმები, ჯიხვები, ჰყავთ ცხვრები და ყველა ჯიშის შინაური მსხვილფეხა საქონელი. ისინი ძოვენ კახეთის მდიდარ საძოვრებზე. წყალუხვი მდინარეები თავის ბუნებას ანოყიერებენ. მთების წიაღში ინახება სხვადასხვა მინერალური მადანი. ღვთის ამდენი წყალობა გვირგვინდება ჰავით, რომელიც განუმეორებელია. მას აღბათ მხოლოდ სამოთხე თუ შეედრება. აქ ყველა პირობაა შექმნილი ადამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ, ღმერთო ჩემო,

საოცარია, რომ აქაურ მაცხოვრებლებს, რომლებიც ამ ქვეყნიურ სამოთხეში ცხოვრობენ, არა აქვთ არავითარი სურვილი განაცალკევონ სარეველა ბაღახი კარგისაგან. მათ არ ადარდებთ, იწვიმებს თუ მზიანი დარი იქნება, მათთვის სულერთია, მაყვალს შეჭამენ თუ ყურძენს, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, მინდორში დაიძინებენ, ყვავილებს შორის თუ ლოგინში. აი, ასეთია დღევანდელი კახეთი! საოცარი კონტრასტია ადამიანსა და ბუნებას შორის, რაზეც გავლენას არც ბუნება და არც ჰავა არ ახდენს.

ბატონი რენიგსი, რომელიც ერთი პერიოდი საქართველოში უიღბლო მეფის, ერეკლე მეორის ზეობის დროს ცხოვრობდა, წერს იმდროინდელი ქართველების ხასიათის შესახებ. ეს დახასიათება, რა თქმა უნდა, კახელებზეც ვრცელდება. მკვლევარი ასაბუთებს და ეძებს მიზეზებს, თუ რატომ განსხვავდებიან მისი დროინდელი კახელები იმ კახელი წინაპრებისაგან, როდესაც საქართველოს ამ კუთხეს ალბანეთი⁶⁸ ერქვა.

რენიგსი წერს: „სიზარმაცე დამახასიათებელია როგორც თავადებისათვის, ისე გლეხებისათვის. ისინი ყველა საქმეში ზარმაცები არიან, რაც კი მუშაობას ეხება. მათ შორის, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ ყველა საქმეში. მაგრამ სიზარმაცე არ ვრცელდება ცხოვრების სხვა მხარეებზე. ქართველს კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი სურვილები, თავისი საბრალო სიღარიბე და ამ მდგომარეობის შემსუბუქების საშუალებები. ჩაგვრა არ აძლევს მას საშუალებას გამოვიდეს ამ მძიმე მდგომარეობიდან. ქართველი გლეხი განიცდის ორმაგ ჩაგვრას: საკუთარი მეზობლებისაგან და მათი ზემდგომი სახელმწიფო სისტემისაგან, რაც გლეხის ძალ-ღონეს აღემატება. ის უძლებს ამ მძიმე ტვირთს, სანამ მისი მდგომარეობა იმდენად დამძიმდება, რომ გაუსაძლისი გახდება და უბედური, უსარგებლო ადამიანი არაქათგამოცდილი ძირს

